ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

გურამ ანანეიშვილი

ბიზნესის როლი ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტების მშვიდობიან ტრანსფორმაციაში

კონფლიქტების ანალიზი და მართვა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია კონფლიქტოლოგის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი

გუგული მაღრაძე

თბილისი

2018

ანოტაცია

ბიზნესის როლი ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტების მშვიდობიან ტრანსფორმაციაში

დღევანდელმა მსოფლიო წესრიგმა და გლობალიზაციამ ეთნო-პოლიტიკურ კონფლიქტებში საერთაშორისო ბიზნესის წამყვანი როლი და მნიშვნელობა განაპირობა. ბიზნესმა შექმნა პირობები უფრო ინტენსიური კავშირებისა და თანამშრომლობისათვის. ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში მსოფლიო უფრო გახსნილი გახდა, რამაც გაზარდა საერთაშორისო ბიზნესის შესაძლებლობები.

ბიზნესი ერთმანეთთან მჭიდროდ აკავშირებს ცალკეულ ინდივიდებსა და საწარმოებს, ამსხვრევს ხელოვნურად შექმნილ პოლიტიკურ ბარიერებს, მეტ ეკონომიკურ თავისუფლებას აძლევს ადამიანებს, რათა მათ საკუთარი უნარები მშვიდობის მშენებლობაში გამოიყენონ.

ეთნო-პოლიტიკურ კონფლიქტების მოგვარებაში მნიშვნელოვანია ბიზნესის წვლილი. მის აქტუალურობას კი მისი სოციოკულტურული გარემო განსაზღვრავს. ეთნო-პოლიტიკურ კონფლიქტებში ბიზნესის წარმატება მშვიდობის მშენებლობის თვალსაზრისით დამოკიდებულია პარტნიორებთან ურთიერთობის ხასიათზე, საქმიანი კავშირების დამყარებაზე, პარტნიორების მოტივაციის გაგებასა და მათზე მჭიდრო შთაბეჭდილების მოხდენაზე.

სწორედ ამ და სხვა არაერთი საკითხის გამო მიგვაჩნია, რომ ნაშრომი ინტერესმოკლებული არ იქნება როგორც მკითხველთა წრისათვის, ასევე საკითხით დაინტერესებული სპეციალისტებისათვის.

Annotation

The role of business in peaceful transformation of ethnopolitical conflicts

Today's world order and globalization have led to the leading role and importance of international business in ethno-political conflicts. Business created conditions for more intensive ties and cooperation. For the last half-century, the world has become more open, which has increased international business opportunities.

The business closely connects individuals and enterprises, breaking artificially created political barriers, gives more economic freedom to enable them to use their own skills in peace building.

In the settlement of ethno-political conflicts, business is important. Its science is defined by its socio-cultural environment. Success in business ethnopolitical conflicts depends on the nature of relations with partners, the establishment of business connections, understanding of partners motivation and impression on them.

Due to these and other provided questions we consider that the work will be rather interesting for the circle of readers as well as interested in this issue specialists.

სარჩევი

შესავალი 7

ლიტერატურის მიმოხილვა 16

I თავი 19

ბიზნესურთიერთობები ქვეყნის კონფლიქტურ რეგიონში 19

1.1 სადავო საზღვრის გავლით არსებული ბიზნესის მოცულობა, როგორც ფაქტორი ბიზნესის მეშვეობით მშვიდობის მშენებლობაში. 19

1.2 ქვეყნის კონფლიქტურ რეგიონში ბიზნესის განვითარების ფაქტორები 21

1.2.1 გეოგრაფიული მდებარეობა 22

1.2.2 ქვეყნის კონფლიქტური რეგიონის სტატუსი 22

1.2.3 მოსახლეობის რაოდენობა ქვეყნის კონფლიქტურ რეგიონში 23

1.2.4 წარმოების განვითარების დონე ქვეყნის კონფლიქტურ რეგიონში 23

1.2.5 მოსახლეობის რაოდენობა ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე 24

1.2.6 ეკონომიკური განვითარების დონე ქვეყანაში 25

1.2.7 კანონმდებლობა, როგორც სადავო საზღვრების გავლით ბიზნესურთიერთობების განვითარების ფაქტორი 25

1.2.8 უსაფრთხოების დონე ქვეყანაში 27

1.2.9 ალიანსების წევრობა 27

1.2.10 ტვირთის გადაადგილება სადავო საზღვარზე 28

1.2.11 ბიზნესგარემო ქვეყანაში 28

II თავი 30

ეთნოპოლიტიკური კონფლიქტის მშვიდობიანი ტრანსფორმაცია 30

2.1 ბიზნესის მეშვეობით მშვიდობის მშენებლობისთვის საჭირო გარემო მისი განმაპირობებელი ფაქოტრები 30

2.1.1 ცენტრალური ხელისუფლების პოლიტიკა კონფლიქტური რეგიონის მიმართ 30

2.1.2 სახელმწიფოს კანონმდებლობა კონფლიქტურ რეგიონთან მიმართებაში 32

2.1.3 ფაქტობრივი მმართველობა ქვეყნის კონფლიქტურ რეგიონში 32

2.1.4 სოციალური ინტიტუტები 32

2.1.5 ალიანსების წევრობა 33

2.1.6 ქვეყნის კონფლიქტური რეგიონის მოსახლეობის პოლიტიკური მისწრაფება 33

2.1.7 ქვეყნის კონფლიქტური რეგიონის საერთაშორისო სტატუსი 34

2.1.8 საომარი მოქმედებებიდან გასული დრო 35

2.1.9 საომარი მოქმედებების ადამიანური მსხვერპლი 35

2.1.10 მოსახლეობის გადაადგილება სადავო საზღვარზე 35

III თავი 37

3.1 კვლევის შედეგები 37

3.2 შემუშავებული მეთოდოლოგია 38

3.3 აფხაზეთის შემთხვევა ..... **Error! Bookmark not defined.** 45

დასკვნა 53

ბიბლიოგრაფია 54

შესავალი

ყველა ტიპის კონფლიქტის ბუნების მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს მოკლე ხანში მისი სწრაფი ესკალაციის მარტივი შესაძლებლობა, რაც რადიკალურად განსხვავდება მისი ტრანსფორმაციის ან სრულად მოგვარების საჭირო ძალისხმევისა და ვადისგან (მაღრაძე და სხვ., 2003). დაპირისპირების აღმოფხვრა განსაკუთრებით რთულდება, როდესაც საქმე გვაქვს ინდივიდთა ჯგუფებთან, სოციალურ და ეთნიკურ ერთობებთან, მით უმეტეს მაშინ, თუ ისინი წარმოადგენენ სახელმწიფოს ან ადმინისტრაციულ დანაყოფს, რომელსაც დამოუკიდებლობაზე აქვს პრეტენზია. თანამედროვე მსოფლიოში არსებული მრავალი საერთაშორისო თუ ქვეყნის შიდა კონფლიქტი მეტყველებს იმაზე, რომ ვერც სახელმწიფოები და ვერც გაერო, როგორც თანამშრომლობის დღემდე არსებული ყველაზე წარმატებული სახელმწიფოთაშორისო პროექტი, ვერ ახერხებს კონფლიქტების და იმ ნეგატიური შედეგების სრულ პრევენციას, რომლებიც მათ მოსდევთ. შედეგად სახეზეა ოფიციალური დიპლომატიის შეზღუდული შესაძლებლობები პოზიტიური ცვლილებების მისაღწევად და საჭიროება ჩნდება სხვა არაოფიციალური მშვიდობიანი გზების ძიებისა, რომელითაც მოხდება იმ ძალების ოპტიმიზაცია, რომლებიც მიმართულია კონფლიქტის მოგვარებისკენ. ერთ-ერთ ასეთ, ყველაზე აპრობირებულ, გზას წარმოადგენს ბიზნესი და ინდივიდთა შორის ამ საქმიანობის პირობებში წარმოქმნილი ინტერაქცია.

კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებაში ბიზნესის შესაძლებლობებზე აქტიურად საუბარი გასული საუკუნის 90-იან წლებში დაიწყო. კომერციული ინტერესებით და მისი მოგება-მოგების პრინციპის ინტეგრაციამ სამშვიდობო პროცესებში მალევე გააჩინა დაპირისპირებულ მხარეთა შორის ახალი სივრცე საერთო აღქმული პლატფორმის შესაქმნელად. მშვიდობის მშენებლობის საკითხში ეს სრულიად ახალი მიდგომა ეფუძნებოდა უკვე ძველ და ცნობილ თეორიებს სოციალურ ფსიქოლოგიაში, პოლიტიკის მეცნიერებებში, ეკონომიკაში, საერთაშორისო ურთიერთობებში და ა.შ.

კომერციის მეშვეობით მშვიდობის მშენებლობის თეორია რამდენიმე ძირითად პოსტულატზე დგას:

- საკუთრება, როგორც მშვიდობის ერთ-ერთი საფუძველი, ლიბერალური ეკონომიკის თეორიის გადასახედიდან.
- ინდივიდუალური მოგების პრინციპი, რომელიც უკავშირდება როგორც თამაშის თეორიას ეკონომიკაში, ისე გაცვლის თეორიას სოციალურ ფსიქოლოგიაში.
- ბიზნესურთიერთოებების განუყოფელი ნაწილი ვაჭრობა, როგორც ყველა ცივილიზაციისთვის საერთო კულტურული უნივერსალია.
- ნეოფუნქციონალისტური თვალთახედვით ეკონომიკური ინტერაქციის უნარი, გამოიწვიოს სხვა სფეროების ინტეგრაცია ურთიერთობაში.
- ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა. რომელიც დღეს წარმოადგენს ბიზნეს ეთიკის საკითხს და ვალდებულებას კერძო სექტორმა იზრუნოს მოსახლეობი ინტერესებზე. თუმცა ასევე წარმატებით გამოიყენება როგორც რეკლამის, ისე სასურველი გარემოს შესაქმნელად კონკრეტულ რეგიონში მისი ოპერირებისთვის.

XXI საუკუნეში ბიზნესმა კონფლიქტების გადაწყვეტასა და მშვიდობის მშენებლობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა. „კერძო სექტორი სულ უფრო მეტად განიხილება, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პარტნიორი კონფლიქტის პრევენციასა და გადაწყვეტაში“ (Muia, 2002, p.2) „ორი ქვეყანა, რომელიც ნაწილია ისეთი საერთო გლობალური მიწოდების, მაგალითად როგორიცაა Dell-ი, ეცდებიან არ იბრძოლონ ერთმანეთთან, რადგან ისინი საერთო უზრუნველყოფის ჯაჭვში არიან ჩაბმულნი“ (Friedman, 2005, p.421). ბიზნესის შესაძლებლობები პოზიტიური ცვლილებებისთვის განისაზღვრა სახელმწიფოთაშორისი ინსტიტუციების დონეზეც. 1999 წელს, გაეროს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა და „სალივანის პრინციპების“ ავტორმა ლუი სალივანმა (1977) შეიმუშავეს ახალი „სალივანის გლობალური პრინციპები“, რომელიც ინსპირირებული იყო როგორც „ბიზნესის სოციალური

პასუხისმგებლობის“ თეორიით, ისე მშვიდობის თეორიით. „ბიზნესს აქვს უზარმაზარი წილი გადაწყვეტილების ძიების საქმეში“ - ასე განმარტავდა ანანი კერძო სექტორის როლს კონფლიქტების გადაწყვეტაში (2004). უკანასკნელ წლებში გაერომ შეიმუშავა ინიციატივა „ბიზნესი მშვიდობისთვის“ (B4P), რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს კომერციის მეშვეობით მშვიდობის მშენებლობაზე მსოფლიოსთვის.

მრავალფეროვანი თეორიების გარდა ბიზნესით კონფლიქტის ტრანსფორმაციის შესაძლებლობა მრავალი მაგალითითაც დასტურდება. სხვადასხვა ქვეყნის კონფლიქტებში ბიზნესის ელემენტის ჩართვამ მნიშვნელოვანი პროგრესი აჩვენა მათი მოგვარების მიმართულებით. ბალკანეთის სისხლიანი მოვლენების შემდეგ, ბოსნიის ქალაქ ბრჩკოში გაჩენილმა სავაჭრო ზონამ მნიშვნელოვანწილად განაპირობა სერბეთს, ბოსნიას და ხორვატიას შორის კონფლიქტის ტრანსფორმაცია, ვინაიდან აღნიშნულ ზონაში ერთმანეთის გვერდით საქმიანობდნენ სამივე ეთნოსის წარმომადგენლები. ბიზნესი წარმატებული აღმოჩნდა კვიპროსის კონფლიქტშიც. თურქული და ბერძნული მხარის ინტეგრაციის საკითხში კერძო სექტორის ჩართულობა და განვითარების დონე გადამწყვეტი ფაქტორია. ნდობის მშენებლობის მნიშვნელოვან ინსტრუმენტად იქცა კომერცია კოლუმბიის სამოქალაქო ომშიც. წლების მანძილზე დაპირისპირებულ მხარეების ყურადღების კონცენტრირება საერთო მოთხოვნილებებზე და ინტერესებზე გახდა დეესკალაციის მთავარი მაპროვოცირებელი (Rojas, 2004) ბიზნესი აღმოჩნდა მთავარი ფაქტორი ჩინეთსა და ტაივანს შორის ურთიერთობების აღდგენის საკითხშიც. ურთიერთსარგებლობაზე დამყარებული კომერციულმა კავშირებმა თითქმის ბოლომდე აღმოფხვრა კონფლიქტის ხელახალი ესკალაციის შესაძლებლობა (Hsu, 2015). აღნიშნული კონფლიქტების შემთხვევები განსხვავდებიან ერთმანეთისგან როგორც გეოპოლიტიკური მდებარეობით, ისე კულტურული ნიადაგით და იმ წინაპირობებით, რაც წინ უძღვოდა დაპირისპირებას. ბიზნესის წარმატება კი ამ დაპირისპირებების აღმოფხვრასა და დეესკალაციაში ხშირად გამოიყენება კონფლიქტის მოგვარებაში კომერციული ინტერესების უნივერსალურობის ხაზგასასმელად.

მიუხედავად მნიშვნელოვანი თეორიული წანამძღვრების და წარმატებული მაგალითებისა, ბიზნესის შესაძლებლობათა უნივერსალურობა მაინც სადავო საკითხად რჩება. რადგან არსებობს როგორც წარუმატებელი მაგალითები, ისე მის თეორიასთან დაკავშირებული კითხვები.

- ბიზნესს, მოგება-მოგების პრინციპის და სხვა მრავალი ისეთი თვისების გარდა, რომლებიც ხელს უწყობენ საზოგადოებების ინტეგრაციას, გააჩნია კონკურენციის ელემენტიც, რომელიც მოწყვლად გარემოში შესაძლოა მნიშვნელოვანი პრობლემად გადაიქცეს. შესაძლოა კონკურენცია სამართლიანად ითვლება განვითარების ერთ-ერთ მთავარ წინაპირობად, თუმცა კონფლიქტურ რეგიონში, სადაც, როგორც წესი, გაუმართავია კანონმდებლობა და პოლიტიკური სისტემა, რომელიმე რესურსზე თუ სამომხმარებლო ბაზარზე ერთპიროვნულად წვდომის ინტერესი შესაძლოა გახდეს არსებული კონფლიქტის მეტად ესკალაციის წინაპირობა (Humphreys, 2003).
- წარმატებული საქმიანობისთვის ბიზნესი მუდმივად ეძებს იაფ მუშახელს. იაფი მუშახელის არსებობას მრავალი ფაქტორი განაპირობებს, თუმცა ყველაზე მეტად მაინც მაღალი უმუშევრობის დონე, დაბალი ეკონომიკური განვითარება, გაუმართავი პოლიტიკური სისტემა და კერძო ინტერესებზე მორგებული ან მათ სასარგებლოდ უგულებელყოფილი სამართალი. აღნიშნული ფაქტორები დამახასიათებელია კონფლიქტური რეგიონებისთვის და ხშირად მოგების შემცირების შიშით, დიდი ბიზნესი შესაძლოა ხელს უშლიდეს რეგიონში პოზიტიურ ცვლილებებს (ბეკრიაშვი & ბელოზეროვი, 2000)
- მეცნიერთა ნაწილისთვის ბუნდოვანია ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის (Corporate Social Responsibility) საკითხი. აღნიშნული პასუხისმგებლობა მართალია დღეს უკვე ვალდებულებას წარმოადგენს ბიზნესისთვის, თუმცა ეს ვალდებულება, როგორც წესი, უფრო მორალურია ვიდრე სამართლებრივი ნორმა და დიდ წილად დამოკიდებულია კომპანიების კეთილ ნებაზე. ეს ფაქტი, ზოგიერთი მეცნიერის აზრით,

ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობას აქცევს არამდგრად ფაქტორად კონფლიქტურ პროცესებში პოზიტიური ცვლილებების საკითხში. მის გავლენას კი არასტაბილურს (Ganson, 2017).

- ეჭვქვეშ დგას კონფლიქტურ რეგიონში ბიზნესის მხრიდან ინვესტირების საკითხიც. არასტაბილური და უსაფრთოხების მხრივ მოწყვლადი გარემო არ არის მიმზიდველი ინვესტორისთვის წარმოების შესაქმნელად (Dudovskiy, 2012).

აღნიშნულ სადავო საკითხებს თეორიაში ემატება ბიზნესის კონფლიქტზე ზემოქმედების წარუმატებელი შემთხვევებიც. მსოფლიოში არის კონფლიქტები, სადაც ბიზნესმა არათუ ვერ მოახერხა დადებითი პროცესების წარმართვისთვის ხელის შეწყობა, არამედ თავად გახდა კონფლიქტის ესკალაციის და ხანგრძლივობის საფუძველი. ამის თვალსაჩინო მაგალითია „სისხლიანი ალმასების“ შემთხვევა, რომელშიც ერთიანდება ანგოლაში, კოტ-დ'იუვარში, სიერა ლეონეში და სხვა ცენტრალურ და სამხრეთ აფრიკის ალმასით მდიდარ ქვეყნებში განვითარებული პროცესები. აქ ძვირფასი ქვებით არალეგალური ვაჭრობა წარმოადგენდა მთავარ დასაყრდენს იმ ჯგუფებისა, რომლებიც წლების განმავლობაში მოსახლეობის მიმართ სასტიკი მოპყრობით ახერხებდნენ ბიზნეს საქმიანობის წარმართვას და ამით ძალაუფლების შენარჩუნებას (Ganson & M'cleod, 2017). აღნიშნულ მოვლენებს მოგვიანებით მოჰყვა „კიმბერლის პროცესი“, რამაც მინიმუმამდე დაიყვანა ამგვარი პრეცედენტების არსებობა. ასევე აღსანიშნავია სირიის ომის დროს „ისლამური სახელმწიფოს“ ბიზნესსაქმიანობა. მათ მიერ ნავთობპროდუქტების რეალიზებით მიღებული თანხა, მნიშვნელოვანი რესურსი იყო საომარი მოქმედებების საწარმოებლად, რაც ბუნებრივია ხელს უწყობდა კონფლიქტის კიდევ უფრო ესკალაციას. (Solomon, Kwong & Bernard, 2016). არის შემთხვევები, როცა კონფლიქტურ რეგიონში ბიზნესსაქმიანობა საკმაოდ დიდი მოცულობისაა, მისი მეშვეობით არ მარაგდება საბრძოლო ქვედანაყოფები, თუმცა კონფლიქტის ტრანსფორამციისთვის მაინც უმნიშვნელო ფაქტორია. ეს ნიშნავს „აკეთო კარგად მშვიდობის მშენებლობის გარეშე“ (Stewart, 2009). ამის თვალსაჩინო მაგალითია სერბეთისა და კოსოვოს რეგიონის სავაჭრო ურთიერთობები. 2001

წლიდან მათმა სტაბილურად განვითარებადმა კომერციულმა კავშირებმა, სადაც 2012 წლისთვის სერბეთიდან საქონლის იმპორტი 300 000 მილიონ ევროს მოცულობას აღწევდა, ხოლო კოსოვოდან სერბეთში ექსპორტი 10 000 მილიონ ევროს (Bjelic, 2015), ხელშესახები შედეგი ვერც პოლიტიკურ და ვერც საზოგადოებრივ დონეზე ვერ გამოიღო. კვლავ რადიკალურად განსხვავებულია სერბეთის და კოსოვოს რეგიონის ხელისუფლებების პოზიციები, კვლად ანტაგონისტურად არიან განწყობილი სერბეთის და კოსოვოს საზოგადოების უმრავლესობა ერთმანეთის მიმართ.

სახეზე გავქვს ორი ერთმანეთთან დაპირისპირებული შეხედულება ბიზნესის როლის შესახებ კონფლიქტში, რაც იწვევს დამოკიდებულებათა რადიკალიზაციას საკითხთან მიმართებაში და აფერხებს პოზიტიური შედეგების მიღწევას: ერთიმხრივ, ხშირად უმიზეზოდ, იქმნება რეალობისგან გადაჭარბებული მოლოდინი კონფლიქტში ბიზნესის შესაძლებლობების დადებითი როლის მიმართ. ხოლო საწყის ეტაპებზე დიდი მოლოდინების გაცრუება იმ მცირე მიღწევებსაც უკარგავს მნიშვნელობას, რომლებიც პროცესში შესაძლოა უკვე არსებობდეს. საზოგადოების იმედგაცრუება კი მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის ამ მიმართულებით არსებულ სამშვიდობო პოლიტიკას, რადგან აღნიშნული ე.წ. მეორე არხის, სამოქალაქო დიპლომატიის ფორმას წარმოადგენს და საზოგადოების ჩართულობა უმნიშვნელოვანესია. მეორემხრივ, საწყისი ეტაპიდან მკვეთრად ნიჰილისტური განწყობები საკითხისადმი, ხელს უშლის ბიზნესს სრულად წარმოაჩინოს საკუთარი სამშვიდობო უნარი კონფლიქტურ პროცესებში. ბიზნესის ამბივალენტური როლი კონფლიქტში, მთავარი ფაქტორია მისდამი ხშირად წარმოქმნილი არაადეკვატური დამოკიდებულებისა. საზოგადოების, სახელმწიფო ორგანოების ან მშვიდობის მშენებლობაში ჩართული ორგანიზაციების მხრიდან მცდარი ატიტუდების პრევენციისთვსი ბიზნესის კონფლიქტზე გავლენის წინააღმდეგობრივი ხასიათის და მისი გამომწვევი მიზეზების ახსნას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხსენებული აქტორების მხრიდან საკითხის სწორად აღქმის და სამოქმედო სტრატეგიის შემუშავებისთვის.

მშვიდობის მშენებლობაში ბიზნესის როლის ამბივალენტურობას ის შემთხვევები განაპირობებს, რომლებშიც ბიზნესის გამოყენებამ სხვადასხვაგვარი შედეგი აჩვენა. თეორიული კრიტიკაც, ბიზნესის როლის მიმართ კონფლიქტში, პრაქტიკული წარუმატებლობის ფონზე განვითარდა და ძირითადად ამ შემთხვევებით იყო ინსპირირებული. ამის გამო წინააღმდეგობრიობის დასადგენად პრაქტიკული მაგალითების გაანალიზება გადამწყვეტი მნიშვნელობისაა.

ბიზნესის კეთების პრინციპი ყველა შემთხვევაში საერთოა. ის ორიენტირებულია ფინანსურ მოგებაზე და მარტივი განსაზღვრებით გულისხმობს საქონლის ან მომსახურების შექმნას ან ყიდვას და შემდგომის მის გაყიდვას. ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტები კი არასდროს არის იდენტური. ყველა მათგანს განასხვავებს ის პოლიტიკური, სოციალური თუ გეოგრაფიული მოცემულობა, რომელიც გავლენას ახდენს კონკრეტული კონფლიქტის ხასიათზე და შესაბამისად, მისი შემდგომი ტრანსფორმაციის გზების ქმედითობაზეც. შესაბამისად თუ A (ბიზნესი) ყველა შემთხვევაში უცვლელია (კონსტანტაა), მისი გავლენის ამბივალენტურობა მეორე ცვლადზე, B-ზე (კონფლიქტზე), განპირობებულია იმ შუალედური ცვლადით, Z-ით (გარემოთი), რომელშიც ბიზნესი მოქმედებს კონფლიქტზე და შესაბამისად განაპირობებს შედეგების განსხვავებულობასაც.

A (ბიზნესი) → Z (გარემო) → B (კონფლიქტი)

ამა თუ იმ კონფლიქტურ შემთხვევაში ბიზნესის მეშვეობით მშვიდობის მშენებლობის მიმართ არასწორი დამოკიდებულების, ასევე სამშვიდობო პროცესის დაგეგმვისას უზუსტობების თავიდან ასაცილებლად, მნიშვნელოვანია ისეთი მექანიზმის არსებობა, რომელიც გაზომავს ბიზნესის სამშვიდობო შესაძლებლობებს კონკრეტულ კონფლიქტის შემთხვევაში. ვინაიდან გარემო თამაშობს გადამწყვეტ როლს ბიზნესურთიერთობების კონფლიქტზე ზემოქმედების საკითხში, იმისათვის რომ გავზომოთ ადგილზე ბიზნესის სამშვიდობო პოტენციალი, მნიშვნელოვანია იმ უნივერსალური ფაქტორების/პირობების იდენტიფიცირება, რომლებიც ქმნიან გარემოს ყველა ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტში, - იდენტიფიცირებული ფაქტორებისთვის

წონის მინიჭება, თუ რომელი რა დოზით ახდენს გავლენას გარემოს ფორმირებაზე. ხოლო შემდეგ გაიზომოს თითოეულ ფაქტორზე იმ ალტერნატიული მოცემულობების/ქვეფაქტორების გავლენის წონა, რაც შესაძლოა არსებობდეს კონფლიქტურ შემთხვევაში და განსაზღვრავდეს იდენტიფიცირებული ფაქტორის გავლენის სიმძლავრეს გარემოს ჩამოყალიბებაზე.

კვლევის საგანს წარმოადგენს ბიზნესურთიერთობების როლი ეთნო-პოლიტიკურ კონფლიქტებში და ამ როლის განმსაზღვრელი გარემო.

კვლევის ობიექტს წარმოადგენენ ის ფაქტორები, რომლებიც მონაწილეობენ ეთნო-პოლიტიკურ კონფლიქტებში ბიზნესურთიერთობების როლის განმსაზღვრელი გარემოს ფორმირებაში.

კვლევის კითხვები: როგორი გარემო განსაზღვრავს ბიზნესურთიერთობების დადებით/უარყოფით გავლენას კონფლიქტის მშვიდობიან ტრანსფორმაციაზე? რა ფაქტორები მონაწილეობენ კონფლიქტური გარემოს, როგორც ბიზნესის კონფლიქტზე ზემოქმედების პროცესში მათი შუალედური ცვლადის, ფორმირებაში? რამდენია თითოეული ფაქტორის მნიშვნელობის შესაბამისი წილი გარემოს ფორმირებაში? როგორ მოცემულობაში ახდენს ფაქტორი საკუთარი მნიშვნელობის სრულ რეალიზებას ბიზნესურთიერთობების მეშვეობით მშვიდობის მშენებლობისთვის საჭირო გარემოს ფორმირებაზე?

მეთოდოლოგია: წარმოდგენილი პროექტი განხორციელდება ინტერდისციპლინური მიდგომის გამოყენებით, რაც გულისხმობს სხვადასხვა დარგის მეცნიერთა მუშაობას შესასწავლ საკითხზე, სხვადასხვა დისციპლინისთვის დამახასიათებელი მეთოდოლოგიების გამოყენებით. საკითხის კომპლექსურობიდან გამომდინარე კვლევისთვის გამოყენებულია დოკუმენტების ანალიზი : ქართველ და უცხოელ მეცნიერთა ნაშრომები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს საკანონმდებლო და ნორმატიული აქტები, კონფლიქტოლოგიის თანამედროვე თეორიები და ა.შ. ამ მეთოდთან ერთად

გამოყენებიული ექსპერტთა გამოკითხვა, კვლევის ფარგლებში მოხდა სოციოლოგიური გამოკითხვის მეთოდის ანკეტირების მეშვეობით ექსპერტთა გამოკითხვა, ანკეტირების პროცესში თითოეული კითხვა გამოკვლევის პროგრამულ და პროცედურულ ამოცანასთან იყო დაკავშირებული.

ლიტერატურის მიმოხილვა და დოკუმენტების ანალიზი: აღნიშნული კვლევის მეთოდის გამოყენება მოხდება, როგორც კვლევის საწყის ეტაპზე, რათა ჩამოვაყალიბო კვლევის ინსტრუმენტები ექსპერტული და არასტრუქტურირებული ინტერვიუებისათვის, ისევე როგორც შევისწავლო ჩემი კვლევის გარშემო არსებული სამეცნიერო ლიტერატურა და მეორადი დოკუმენტები. შესაბამისად აღნიშნული კვლევის ფარგლებში შევაგროვებ შესაბამის მასალებს:

სამეცნიერო ნაშრომები (სტატიები, მონოგრაფიები და სახელმძღვანელოები კონფლიქტების და კერძოდ პოლიტიკური კონფლიქტების შესახებ);

საერთაშორისო და ადგილობრივი სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შექმნილი ანგარიშები პოლიტიკური კონფლიქტების, ეკონომიკის, საერთაშორისო სამართლისა და ურთიერთობების, კონფლიქტში მცხოვრები მოსახლეობის პოლიტიკური, სოციალური თუ ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ და სხვა.

მეთოდოლოგიურ ლიტერატურას კვლევის ჩატარების ანალიზის შესახებ.

სამეცნიერო ლიტერატურის და დოკუმენტების მოსაძიებლად გამოვიყენებ სამეცნიერო ელექტრონულ ბაზებს, სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების ვებ–გვერდებს, ბიბლიოთეკებს.

ექსპერტული გამოკითხვა ჩატარდა საქართველოში. შერჩეული იქნა ექსპერტები შემდეგი სფეროებიდან – კონფლიქტოლოგია, პოლიტიკის მეცნიერებები, საერთაშორისო ურთიერთობები, ეკონომიკა, სამართალი. ექსპერტული ინტერვიუების ასევე ჩაწერილ იქნება აუდიო საშუალებით და მოხდება მათი ტრანსკრიპცია.

შერჩევა

კვლევისთვის გამოყენებული იქნება შერჩევის არაალბათური/დეტერმინირებული მეთოდის სახეები. კონფლიქტოლოგები, ეკონომისტები, საერთაშორისო ურთიერთობების და პოლიტიკის მეცნიერების სპეციალისტები, სამართალმცოდნეები გამოიკითხებიან მიზნობრივი მეთოდის გამოყენებით, რაც წინასწარ განსაზღვრული რესპონდენტის გამოკითხვას გულისხმობს.

შერჩევის ჩარჩო

გამოკითხულნი იქნებიან მსგავს საკითხებზე მომუშავე მკვლევარები, თეორეტიკოსები, სხვადასხვა არაოფიციალური სამშვიდობო ფორმატები ორგანიზატორები და მონაწილენი. საქართველოს მთავრობის სამშვიდობო ინიციატივის, - „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ თანაავტორები.

ცვლადების კონცეპტუალიზაცია

ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტი - აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო ამგვარ კონფლიქტს განმარტავს, როგორც ღია კონფლიქტს, სადაც მონაწილე ჯგუფი ან ჯგუფები „ეთნიკური კრიტერიუმების“ გარშემო ერთიანდებიან და ისე გამოხატავენ პროტესტს ხელისუფლების თუ სხვა ჯგუფების მიმართ. „ეთნიკური კრიტერიუმის“ განსაზღვრას ჯგუფი თავად ახდენს, ეს შესაძლოა წარმოადგენდეს საერთო კულტურის, ენის, რელიგიური რწმენის, ეროვნების, საცხოვრებელი ადგილის ან კოლექტიური გამოცდილების ნებისმიერ კომბინაციას (U.S. Agency for International Development, 2000).

კონფლიქტის მშვიდობიანი ტრანსფორმაცია - თანამედროვე მეცნიერები კონფლიქტის ტრანსფორმაციას განიხილავენ როგორც კონფლიქტის მოგვარების სინონიმს, ოღონდ ამ უკანასკნელისგან განსხვავებით ტრანსფორმაციაში იგულისხმება უფრო გრძელვადიანი და ღრმა სტრუქტურული, ფსიქოლოგიური და კულტურული ასპექტები (ბრანდერი, 2004).

მშვიდობის მშენებლობა - მეცნიერების ეს დარგი პირველ რიგში მოიცავს დაპირისპირებულ მხარეებს შორის კომუნიკაციის უზრუნველყოფას და მოლაპარაკების ხარჯზე კონფლიქტის მონაწილეთა ინტერესების დაახლოებას. აღნიშნული მიზნების მისაღწევად შესაძლოა გამოყენებულ იყოს საზოგადოების ცხოვრების შემადგენელი ნებისმიერი სფერო (მაღრაძე და სხვ., 2003) მშვიდობის მშენებლობის პროცესის ბუნებრივი შედეგი კონფლიქტის მშვიდობიანი ტრანსფორმაციაა, შესაბამისად ტექსტში მშვიდობის მშენებლობა, კონფლიქტის ტრანსფორმაციის პროცესის შემადგენელ ნაწილადაც არის განხილული.

ლიტერატურის მიმოხილვა

ეკონომიკური ფაქტორების და მშვიდობის კავშირზე პირველად კლასიკური ლიბერალიზმის წარმომადგენლები ალაპარაკდნენ. საკუთრებას, როგორც კომერციული ინტერესს, საზოგადოებაში არსებული მშვიდობის აუცილებელ წინაპირობად განიხილავდნენ ადამ სმიტი და დევიდ რიკარდო (1776; 1817). 1950-იანი წლების დასაწყისში იქმნება „ნეშის წონასწორობის თეორია“, რომელიც მათემატიკურ ეკონომიკაში მანამდე არსებული თამაშის თეორიაში წარმოიშვა. ჯონ ნეში თავის შრომაში აქცენტს აკეთებს დაპირისპირებულ მხარეთა ისეთ წონასწორობაზე, სადაც არცერთ მათგანს არ შეუძლია მოქმედების სტრატეგიის გაუმჯობესება მისი ვიზავის სტრატეგიის ცვლილების გარეშე. აღნიშნულმა თეორიამ აჩვენა მოგება-მოგების პრინციპის პრაქტიკული სიკეთეც, რაც კონფლიქტებს მშვიდობიანი გადაწყვეტის ამოსავალ წერტილად იქცა. (Nash, 1950) ამავე პერიოდში საერთაშორისო ურთიერთობებში აქტუალური გახდა ნეოფუნქციონალიზმის თეორია, რომელიც რეგიონულ ინტეგრაციას განვითარების ერთადერთ გზად მიიჩნევს, რაც ნაბიჯ-ნაბიჯ ყველა სფეროში დაახლოებას გულისხმობს. ნეოფუნქციონალიზმის თანახმად, კავშირები ეკონომიკურ საკითხებში ადამიანთა საქმიანობის ფართო სპექტრს მოიცავს, რაც მას საშუალებას აძლევს გამოიწვიოს სხვა სექტორების ჩართვა თანამშრომლობის პროცესში. ამის ნათელი მაგალითია ევროპული ქვეყნების ერთ ეკონომიკურ, სოციალურ და

პოლიტიკურ სივრცეში ინტეგრაცია, რომელიც 1950 წელს დაიწყო საფრანგეთ-გერმანიის შეთანხმებით ქვანახშირისა და ფოლადის წარმოების შესახებ (Haas, 1958). ბიზნესის და კონფლიქტის ურთიერთქმედებისთვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თეორია ამავე ათწლეულის ბოლოს სოციალურ ფსიქოლოგიაში შეიქმნა. ჯორჯ ჰომანსის სოციალური გაცვლის თეორიის თანახმად, ადამიანის ერთ-ერთ გამორჩეულ თვისებას წარმოადგენს სურვილი, კავშირი ჰქონდეს იმ სუბიექტებთან, რომელთაგან იღებს იმდენ ან იმაზე მეტ სარგებელს, ვიდრე გასცემს მათთან ურთიერთობაში (Homans, 1958). კომერციული საქმიანობაც სხვა არაფერია, თუ არა, ადამიანებს შორის ურთიერთსარგებლობაზე დამყარებული კავშირი. ბიზნესის როლის უნივერსალურობის განსასაზღვრად ნებისმიერ კულტურაში წარმოშობილ კონფლიქტებში, მნიშვნელოვანი იყო ჯორჯ მერდოკის აღმოჩენა კულტურული უნივერსალიების შესახებ. მან მრავალი კულტურის გამოკვლევის შემდეგ გამოყო 60-მდე კულტურული უნივერსალია, რომელთაგან ერთი ვაჭრობაა (Murdock, 1945). აღნიშნული ბიზნესის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს და კულტურას აქცევს კონსტანტად ბიზნესის კონფლიქტზე ზეგავლენის კვლევის საკითხში. ამავე პერიოდში ჰოვარდ ბოუენმა განავითარა ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის თეორია (Corporate Social Responsibility), რომელიც მიმართული იყო ლიბერალური ეკონომიკური მოდელის ფუნქციონირების თანმდევი პროცესის, მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ნაწილის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისკენ (Bowen, 1953). აღნიშნული მიდგომა კარგად მოერგო მშვიდობის მშენებლობის თეორიას და მნიშვნელოვანი როლი ითამაშა კონფლიქტის პრევენციის ერთ-ერთი საშუალებად ბიზნესის ფორმირებაში. მნიშვნელოვანი იყო „უარტონის ბიზნეს სკოლის“ პროფესორის ჰოვარდ პერლმუტერის შეხედულება, რომელიც დიდი საწარმოების და მულტინაციონალური კომპანიების მფლობელებს მიიჩნევდა იმ პირებად, ვინც შეცვალეს სოციალურ არქიტექტურა და ომი უფრო მეტად არასასურველი გახადეს, ვინაიდან ის დაუპირისპირეს საერთო კეთილდღეობას (Perlmutter, 1969). მნიშვნელოვანი იყო დოქტორი დაიმონდის და ელჩი მაკდონალდის ნაშრომი - „მრავალარხიანი დიპლომატია“ (Diamond & McDonald, 1996), სადაც ბიზნესი

გაანალიზებული იყო, როგორც მშვიდობის მშენებლობის ერთ-ერთი ყველაზე მთავარი არაოფიციალური გზა. აღნიშნული დოკუმენტი ძირითადად პრაქტიკული გამოცდილების ანალიზს წარმოადგენს. მრავალარხიანი დიპლომატია“ იყო ის ნაშრომი, რომელმაც ბიძგი მისცა ბიზნესის როლის სიღრმისეულ კვლევას მშვიდობის თეორიასთან მიმართებაში.

I თავი

ბიზნესურთიერთობები ქვეყნის კონფლიქტურ რეგიონში

1.1 სადავო საზღვრის გავლით არსებული ბიზნესის მოცულობა, როგორც ფაქტორი ბიზნესის მეშვეობით მშვიდობის მშენებლობაში.

არსებობს ოთხი ძირითადი ფაქტორი რის გამოც სადავო საზღვრის გავლით ბიზნესურთიერთობების მოცულობის ზრდა პირდაპირპროპორციულად მოქმედებს მშვიდობის მშენებლობაზე:

ბიზნესი, როგორც ადამიანებს შორის ურთიერთობა. გაყოფილ საზოგადოებაში კონფლიქტის მშვიდობიანი ტრანსფორმაცია ადამიანთა ურთიერთობის გარეშე შეუძლებელია. ამგვარი პროცესისთვის უმთავრეს ფაქტორს წარმოადგენს ისეთი სახის ინტერესის არსებობა, რომელიც მნიშვნელობით გადაფარავს ეთნიკურ თუ პოლიტიკურ კუთვნილებას, ნეგატიურ წარსულს და დაპირისპირებულ მხარეებს შორის ახალი კავშირების წარმოქმნას შეუწყობს ხელს. კომერციული მოგება, როგორც ადამიანთა კეთილდღეობის ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორი უნივერსალური ინტერესია ყველა ადამიანისთვის მიუხედავად კულტურისა, პოლიტიკური შეხედულებისა და რელიგიისა. ამის გამო ბიზნესს აქვს უნარი სხვებზე უფრო მარტივად გადალახოს საზოგადოების გამყოფი ბარიერები. ბიზნესსაქმიანობაში წარმატება დამოკიდებულია სხვადასხვა ფორმის ინტერაქცია პარტნიორებთან, მომხმარებლებთან, მომწოდებლებთან. დაპირისპირებულ მხარეებს შორის ნებისმიერ სფეროში მშვიდობიანი ურთიერთობა უკვე თავად წარმოადგენს კონფლიქტის მშვიდობიანი ტრანსფორმაციის მნიშვნელოვან ნაწილს. მეტი ბიზნეს კავშირები, ნიშნავს მეტი ურთიერთობას ადამიანებს შორის, შესაბამისად კონფლიქტის მშვიდობიანი ტრანსფორმაციის გაზრდილ მასშტაბს.

ბიზნესი, როგორც ძალადობის პრევენცია. დაპირისპირებულ მხარეებს შორის ძალადობა ქვეყნის კონფლიქტურ რეგიონში სამშვიდობო პროცესის უპირველესი დაბრკოლებაა. ადამიანთა სიცოცხლის მასობრივი ხელყოფის ფონზე

შეუძლებელია რაიმე სახის პროგრესი მხარეებს შორის ურთიერთობაში. ბიზნესის როლი ამ შემთხვევაშიც ნიშანდობლივია. „შენ არ შეგიძლია მოკლა ვინმე და შემდეგ მასთან ივაჭრო“ (Pinker, 2003, p. 168). – ეს ციტატა ფსიქოლოგ სტივენ პინკერის წიგნიდან „სუფთა ფურცელი: ადამიანის ბუნების თანამედროვე უარყოფა“ ნათლად წარმოაჩენს ბიზნესის თვისებას, თავის თავში ატარებდეს ძალადობის პრევენციის მნიშვნელოვან უნარს. მეტი ბიზნესურთიერთობა ნიშნავს მხარეებს შორის მეტად შემცირებულ ურთიერთ ძალადობას, შესაბამისად სამშვიდობო პროცესისთვის მეტად შესაფერის გარემოს.

ბიზნესი, როგორც რესურსების უზრუნველყოფის წყარო. კონფლიქტურ რეგიონში სურსათის და პირველადი საყოფაცხოვრებო ნივთების დეფიციტი დამატებითი ფაქტორია დაპირისპირების ხელახალი ესკალაციისა. ბიზნესსაქმიანობა უზრუნველყოფს ამგვარი საქონლის არსებობას, რაც ამცირებს დესტრუქციული პროცესების წარმართვის შესაძლებლობას. შესაბამისად რაც უფრო დიდია ბიზნესის მოცულობა რეგიონში, უფრო მეტია მოსახლეობისთვის საარსებო რესურსების დივერსიფიკაცია.

ბიზნესი, როგორც ქონების დაგროვების შესაძლებლობა. ლიბერალური ეკონომიკის თეორიის ფუძემდებლები საკუთრებას მიიჩნევდნენ იმ მთავარ ფაქტორად, რომელიც საზოგადოებაში მდგრადი მშვიდობის არსებობას შეუწყობდა ხელს. მათი შეხედულებით ადამიანები, რომელთაც გააჩნია საკუთრება და ამ საკუთრების გაზრდის შესაძლებლობა, ნაკლებად იფიქრებდნენ ერთმანეთთან ბრძოლაზე ამ საკუთრების დაკარგვის შიშით. ბიზნესსაქმიანობა ერთის მხრივ გულისხმობს საკუთრების დაგროვებას, ხოლო მეორეს მხრივ, ამ პროცესში თვით ან სხვა ადამინების დასაქმებას, რაც ამცირებს უმუშევრობას და ხელს უშლის მასთან დაკავშირებულ კონფლიქტური გარემოს წარმოქმნას. ამის გამო, რაც უფრო დიდია ბიზნესურთიერთობათა მოცულობა სადავო საზღვრის გავლით, მით უფრო მეტია ქვეყნის კონფლიქტურ რეგიონში სამშვიდობო პროცესების განვითარების პერსპექტივა.

ბიზნესი, როგორც დაპირისპირებულ მხარეთა ურთიერთდამოკიდებულება. ბიზნესურთიერთობათა სტაბილური განვითარება, როგორც შედეგი მეტი ურთიერთსარგებლობის მიღების ინტერესისა, ყველა ეტაპზე სულ უფრო მეტად იწვევს საქმიანობაში ჩართულ მხარეთა მიჯაჭვულობას კომერციულ მოგებაზე (Homans, 1958), შესაბამისად მნიშვნელოვან დამოკიდებულებას ერთმანეთის რესურსებზე ან სამომხმარებლო ბაზარზე. შექმნილი გარემოება სრულად ასახავს „მოგება-მოგების პრინციპს“ და შესაბამისი გარემოს პირობებში მიდრეკილი იქნება ამ პრინციპის მუშაობის სტაბილურობაზე. რადგან ნებისმიერი ადამიანის ინტერესია ზედმეტი წინააღმდეგობის და მსხვერპლის გარეშე მიიღოს სარგებელი (Homans, 1958). აღნიშნული მოსაზრება შეგვიძლია „კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების თეორიის“ კონტექსტში განვიხილოთ. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ კერძო, კომერციული ურთიერთობები, განსხვავებით სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობებისგან უსაფრთხოების სფეროში, უნივერსალურია (Murdock, 1965) და მხოლოდ „პლურალისტურ ინდუსტრიულ“ (აკობია, 2006, გვ.100) სამყაროს არ მოიცავს. შესაბამისად რაც უფრო დიდია ბიზნესის მოცულობა სადავო საზღვრის გავლით, მით მეტია სხვდასხვა მხარეს მყოფი მოსახლეობის დამოკიდებულება ერთმანეთის მიმართ. შესაბამისად კონფლიქტის ესკალაცია პრაგმატული თვალსაზრისითაც ყველასთვის წამგებიანი ხდება.

ბიზნესის მეშვეობით კონფლიქტის მშვიდობიანი ტრანსფორმაციისთვის ბიზნესურთიერთობების მოცულობის ასეთი მნიშვნელობის გამო, დაგეგმილი სამშვიდობო პროცესის განუყოფელი ნაწილია ღონისძიებები, რომლებიც ხელს უწყობენ არამარტო უკვე არსებული ბიზნესის სამშვიდობო პროცესებში ინტეგრაციას, არამედ მის განვითარებასაც.

1.2 ქვეყნის კონფლიქტურ რეგიონში ბიზნესის განვითარების ფაქტორები

ბიზნესის განვითარებას ნებისმიერ ადგილას განსაზღვრული პირობები სჭირდება, რაც არ დააბრკოლებს პროდუქტის მოთხოვნას და შემდეგ მის მიწოდებას. ქვეყნის

კონფლიქტურ რეგიონში ბიზნესის განვითარება კიდევ უფრო მრავალფეროვან პრობლემებთან არის დაკავშირებული. ესენია როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნურად წარმოქმნილი დაბრკოლებები, რომელთა არსებობა მჭიდრო კავშირშია ბიზნესის წარმატებულ გამოყენებასთან სამშვიდობო პროცესში.

1.2.1 გეოგრაფიული მდებარეობა

ბიზნესურთიერთობების განვითარება სადავო საზღვრის გავლით მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული კონფლიქტური რეგიონის გეოგრაფიულ მდებარეობაზე. იმ შემთხვევაში თუ რეგიონს მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი ტერიტორია ესაზღვრება, მაშინ ყველაზე მეტია ალბათობა ბიზნესურთიერთობების მუდმივი განვითარების. რადგან რეგიონს გარეშე სამყაროსთან წვდომის მხოლოდ ერთი გზა ექნება. მაგრამ, ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტების აბსოლუტურ უმრავლესობას ახასიათებს სახელმწიფოს ტერიტორიის პერიფერიაში წარმოქმნა, შედეგად უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის სახელმწიფო საზღვრების გეოგრაფიას და მეზობელი სახელმწიფოების დამოკიდებულება აღნიშნული კონფლიქტის მიმართ.

მნიშვნელოვანი საკითხებია რეგიონის ზღვაზე გასასვლელი, ასევე სახმელეთო საზღვრის რელიეფი, მთაგორიანი გარემოს პირობებში არსებობს თუ არა რეგიონის დამაკავშირებელი საავტომობილო ან სარკინიგზო გზა სხვა სახელმწიფოებთან. გარე სამყაროსთან რაც უფრო მრავალფეროვანია კავშირების შესაძლებლობა, მით უფრო ნაკლებია ქვეყნის დანარჩენ ნაწილთან რეგიონის ეკონომიკური ან სხვა სახის ინტეგრაციის შესაძლებლობა.

1.2.2 ქვეყნის კონფლიქტური რეგიონის სტატუსი

ქვეყნის კონფლიქტურ რეგიონთან ბიზნესურთიერთობების განვითარებაზე გეოგრაფიული ფაქტორის გავლენა მჭიდროდ არის დაკავშირებული რეგიონის საერთაშორისო სტატუსთან. საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან ქვეყნის კონფლიქტური რეგიონის არაღიარება, მინიმუმამდე ამცირებს ცენტრალური ხელისუფლების ნებართვის გარეშე ამ რეგიონთან ნებისმიერი სახის კავშირებს

საერთაშორისო აქტორების ჩართულობით, შესაბამისად რეგიონს ეკონომიკური კავშირების წარმოქნის მხოლოდ ერთი გზა რჩება ცენტრალური ხელისუფლების გავლით. ამ პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ სახელმწიფოთა პოზიციას, რომელთანაც ქვეყანას საერთო სახმელეთო თუ საზღვაო საზღვარი აქვს. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ უკრაინის პოზიცია დნესტრისპირეთთან მიმართებაში, რაც ამ რეგიონის მოსახლეობას იძულებულს ხდის მხოლოდ მოლდოვასთან ჰქონდეს ბიზნესურთიერთობები. მეორემხრივ შეგვიძლია მოვიყვანოთ რუსეთის მაგალითი აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან მიმართებაში ან თურქეთის მაგალითი კვიპროსთან მიმართებაში. ამ სახელმწიფოების მიერ მოცემული რეგიონების დამოუკიდებლობის აღიარება შესაძლებლობას აჩენს ოფიციალური თბილისისგან და ოფიციალური ნიქოზიისგან გვერდის ავლით ჰქონდეთ ეკონომიკური ურთიერთობები, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ამ რეგიონების მიერ ქვეყნის დანარჩენ ნაწილთან ბიზნესურთიერთობების განვითარების ინტერესს.

1.2.3 მოსახლეობის რაოდენობა ქვეყნის კონფლიქტურ რეგიონში

ბიზნესის მოცულობის, კერძოდ იმპორტის ზრდისთვის დიდი მნიშვენლობა აქვს ქვეყნის კონფლიქტურ რეგიონში მოსახლეობის რაოდენობას. ნებისმიერი ზომის მოსახლეობის უზრუნველყოფა მათთვის საჭირო პროდუქციით, მხოლოდ შიდა წარმოების ხარჯზე, ყველაზე განვითარებული სახელმწიფოებისთვისაც რთულ საქმეს წარმოადგენს. აღნიშნული მითუმეტეს შეუძლებელია კონფლიქტური რეგიონებისთვის დამახასიათებელი წარმოების განვითარების დონისთვის, რაც იმპორტის აუცილებლობას ბადებს. ყველაზე მნიშვნელოვან იმპორტიორ სუბიექტებს შორის თუ ცენტრალური ხელისუფლებაც მოიაზრება, მაშინ საერთო აღქმული პლატფორმის ზომა ბევრად დიდია დაპირისპირებულ მხარეებს შორის. მოსახლეობის დიდი რაოდენობის არსებობა, ნიშნავს დიდი რაოდენობით მოთხოვნას ამა თუ იმ პროდუქტზე, რაც ხდება ინსპირატორი დიდი მოცულობის იმპორტისა. ეს უკანასკნელი კი დაკავშირებულია დამოკიდებულების მაღალ ხარისხთან იმპორტიორზე. რადგან მზარდი მოსახლეობის უზრუნველყოფის

გზებს დივერსიფიცირება სჭირდება, აღნიშნული მოცემულობა დაპირისპირებაში აჩენს მეტი ურთიერთდამოკიდებულების შანსს ნებისმიერ გეოგრაფიულ და პოლიტიკურ პირობებში. ამის მაგალითს წარმოადგენს ჩინეთისა და ტაივანის შემთხვევა, სადაც ოცდასამ მილიონიან ტაივანის ნომერ პირველ იმპორტიორ პარტნიორს წარმოადგენს ჩინეთი 48 მილიარდის მოცულობით (საერთო იმპორტის 17,5%).

1.2.4 წარმოების განვითარების დონე ქვეყნის კონფლიქტურ რეგიონში

კონფლიქტურ რეგიონში განვითარებული წარმოება მნიშვნელოვან საფუძველს ქმნის ბიზნესურთიერთობების განსავითარებლად. ადგილზე წარმოქმნილი დიდი რაოდენობით პროდუქციას აუცილებლად სჭირდება ბაზარი გასავრცელებლად. სამომხმარებლო ბაზარის გადამწყვეტი მნიშვნელობა წარმოების შემდგომი არსებობისა და განვითარებისთვის, მწარმოებლებს იძულებულს ხდის ეძებონ საექსპორტო ბაზრები. ხელსაყრელ გეოგრაფიულ და პოლიტიკურ პირობებში ეს ერთადერთი ბაზარი შესაძლოა ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი ტერიტორია იყოს, რამაც გამოიწვიოს სადავო საზღვრის გავლით არსებული ბიზნესურთიერთობების მოცულობის და შესაბამისად კონფლიქტის მშვიდობიანი ტრანსფორმაციის შესაძლებლობების ზრდა. ამის თვალსაჩინო მაგალითია დნესტრისპირეთის შემთხვევა, სადაც წარმოებული პროდუქტიც მხოლოდ ოფიციალური კიშინოვის ნებართვით გადის ექსპორტზე.

1.2.5 მოსახლეობის რაოდენობა ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე

წარმოების როლი ბიზნესურთიერთობების განვითარებაში, გარდა პოლიტიკური და გეოგრაფიული პირობებისა, შესაძლოა დემოგრაფიულმა გარემოებებმაც გაზარდოს. ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მოსახლეობის დიდი რაოდენობა ნიშნავს დიდ სამომხმარებლო ბაზრის არსებობას, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორია ბიზნესის განსავითარებლად. ეს დამატებითი სტიმულია სადავო საზღვრის გავლით ბიზნესურთიერთობების მოცულობის გაზრდისთვის რადგან რეგიონში წარმოებულ პროდუქციას შესაძლებლობა ექნება

თავისუფლად გავრცელდეს ქვეყნის დანარჩენ ნაწილებში, განსხვავებით საერთაშორისო ექსპორტისა.

1.2.6 ეკონომიკური განვითარების დონე ქვეყანაში

ისეთ სახელმწიფოში ცხოვრება, რომელის მოსახლეობა უზრუნველყოფილია მაღალი დონის ჯანდაცვის, განათლების და სამუშაოს შესაძლებლობით, მიმზიდველია ნებისმიერი ადამიანისთვის, მათ შორის სადავო საზღვრის მეორე მხარეს მყოფთათვის, განსაკუთრებით მაშინ თუ ამ რეგიონში მცხოვრებთა ცხოვრების დონე ჩამორჩება რეგიონს გარეთ არსებულ პირობებს. ქვეყნის ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვანი რესურსია სამშვიდობო პროცესების წარმართვისთვის იმდენად რამდენადაც იძლევა შესაძლებლობას შეიქმნას მშვიდობის მშენებლობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა, რაც უზრუნველყოფს დაპირისპირებული საზოგადოებების ურთიერთობის მრავალფეროვან ფორმატს.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარებას განსაკუთრებით დიდი როლი აქვს ბიზნესის პოზიტიურ გავლენაზე კონფლიქტის ტრანსფორმაციაში, რადგან სახელმწიფოს ეკონომიკური სიძლიერე, თითქმის ყველა შემთხვევაში დაკავშირებულია ქვეყანაში არსებულ ძლიერ კერძო სექტორთან, კერძო სექტორის სიძლიერე კი დიდ შესაძლებლობებს იძლევა სადავო საზღვრის გავლით კავშირების განვითარებისა. ამის მაგალითია კაესონგის ინდუსტრიული კომპლექსი ჩრდილო კორეის ტერიტორიაზე, სადაც სამხრეთკორეული კომპანიების საწარმოებში სამხრეთელებთან ერთად 53,000 ჩრდილო კორეელი მუშაობდა. აღნიშნული პროცესი ცალსახად დადებითად აისახა ჩრდილოელების დამოკიდებულებაზე სამხრეთელების მიმართ, რამაც ხელი შეუწყო უბრალო მოსახლეობას შორის კორეული კონფლიქტის სხვა ჭრილში გადაყვანას ().

1.2.7 კანონმდებლობა, როგორც სადავო საზღვრების გავლით ბიზნესურთიერთობების განვითარების ფაქტორი

ისეთი პროექტების წარმატებას, როგორიცაა კაესონგის ინდუსტრიული კომპლექსი, მნიშვნელოვნად განაპირობებს მოქნილი კანონმდებლობა. სამართლის

როლი განუზომელია საზოგადოების ცხოვრების ყველა კომპონენტში, მათ შორის კონფლიქტში და მის გადაწყვეტაშიც.

ვაჭრობას და ზოგადად ბიზნესს აქვს უნარი მნიშვნელოვანი ხელშეწყობის გარეშე წარმოიშვას იქ სადაც ამის შესაძლებლობა არსებობს. აღნიშნული შესაძლებლობა კი, ყველა შემთხვევაში დაკავშირებულია ან სამართლებრივი ნორმების ლიბერალურ ხასიათთან, ან ამკრძალავი ნორმების დარღვევასთან. როგორც წესი, ეკონომიკურ ურთიერთობათა სრული აკრძალვა და შემდგომ მკაცრი კონტროლი იმ შემთხვევაში გვხვდება, როცა ეთნო-პოლიტიკურ კონფლიქტთან ერთად არსებობს საერთაშორისო კონფლიქტიც. ამის მაგალითია ყირიმი: რუსეთის ფედერაციის მიერ ანექსირებულ უკრაინის ამ რეგიონიდან პროდუქციის გადატანა იკრძალება როგორც უკრაინაში, ისე მთელი ევროკავშირის მასშტაბით.

ქვეყნის კონფლიქტურ რეგიონში საკანონმდებლო თვალსაზრისით ეკონომიკური ურთიერთობების სრული თავისუფლება დიდ საფრთხეებს აჩენს, როგორც სუვერენიტეტთან დაკავშირებულ საკითხებში, ისე კონფლიქტის დეესკალაციის და ადგილობრივი მოსახლეების უსაფრთხოების მხრივ. როგორც წესი, ცენტრალური ხელისუფლების აკრძალვის მიუხედავად, აღნიშნული პროცესები მაინც ვითარდება. მაგრამ სამართლებრივი რეგულაციების მეშვეობით ოფიციალური მმართველობა თავსი პოზიციას აფიქსირებს მიმდინარე საფრთხისშემცველ პროცესებთან დაკავშირებით, რადგან დე ფაქტო მმართველობის პირობებში, სამართლებრივი აკრძალვების არ არსებობა ირიბად ნიშნავს აღნიშნული მმართველობის მიერ გატარებული პოლიტიკაზე პასუხისმგებლობას.

რაც შეეხება კანონმდებლობის გვერდის ავლით ბიზნესსაქმიანობას კონფლიქტურ რეგიონში, ასეთ პირობებში შესაძლოა კავშირები წარმოიშვას, ამის მაგალითად გამოდგება „საქართველოს კანონის ოკუპაციის შესახებ“ ამკრძალავი ხასიათის პირობებში წლების განმავლობაში წარმოქმნილი ტრანს-ენგური სავაჭრო დერეფანი ზუგდიდსა და სოხუმს შორის (Mirimanova, 2015). სამართლებრივი ნორმების დარღვევით შესაძლოა ურთიერთობათა განვითარებაც (მაგ:

საქართველოში ერგნეთის ბაზარი), თუმცა ამ უკანასკნელის დაშვება გამოიწვევს ქვეყნის სამართლებრივი გარემოს გაუარესებას, შესაბამისად უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ პრობლემებს. ამიტომ მნიშვნელოვანია კანონმდებლობის მოქნილობა და ამ მხრივ მისი განვითარების მუდმივი პროცესი (კონფლიქტური რეალობა შესაძლოა დროთა განმავლობაში შეიცვალოს), რათა არ შეეშალოს ამ ურთიერთობებს ხელი ისე, რომ მათი განვითარების პროცესი წახალისება მოხდეს სამართლებრივ ჩარჩოებში.

1.2.8 უსაფრთხოების დონე ქვეყანაში

ლეგალური ბიზნესის განვითარება მჭიდროდაა დაკავშირებული გარემოსთან. უსაფრთხოება არის ფაქტორი, რომელიც ხელს უწყობს როგორც წარმოების განვითარებას, ისე მის გავრცელებას. ამიტომ კერძო კომპანიები ოპერირებისთვის მუდმივად ეძებენ ისეთ ქვეყნებს და რეგიონებს, სადაც დაუბრკოლებლად შეძლებენ საკუთარი მიზნების მიღწევას.

სადავო საზღვრის გავლით ბიზნესის მოცულობის გაზრდაც პირდაპირ კავშირშია უსაფრთხო გარემოსთან. მიუხედავად იმისა, რომ საფრთხის შემცველ პირობებშიც შესაძლოა არალეგალური გზებით საქმიანობის გაზრდა, ბიზნესის სტაბილური განვითარებისთვის მის კანონმდებლობით და სახელმწიფოს მხრიდან დაცულობას ალტერნატივა მაინც არ აქვს.

1.2.9 ალიანსების წევრობა

სადავო საზღვრების გავლით ბიზნესის განვითარებაზე კონფლიქტური ქვეყნის სახელმწიფოთაშორისი ალიანსების წევრობა მრავალმხრივ გავლენას ახდენს. მაგრამ სანამ მათ განვიხილავდეთ საჭიროა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოების შიდა პროცესებზე, სხვა ალიანსებისგან განსხვავებით, უფრო დიდი გავლენით ხასიათდება ევროპული და ევრო-ატლანტიკური გაერთიანებები. ამის მთავარი მიზეზი წევრი სახელმწიფოებს შორის მაღალი დონის პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაციაა, რაც ევროკავშირსა და ნატოს გამოარჩევს სხვა მსგავსი ალიანსებისგან. ამის გამო ალიანსების გავლენა სადავო საზღვრის გავლით

არსებულ ბიზნესზე და მისი მეშვეობით კონფლიქტის ტრანსფორმაციაზე ევროპულ სივრცეში უფრო დიდია.

ქვეყნის კონფლიქტურ რეგიონში ბიზნესის განვითარებაზე ყველაზე დიდ გავლენას ეკონომიკური გაერთიანებები ახდენს, რომელთა წევრობა, როგორც წესი, დაკავშირებულია თავისუფალ ვაჭრობასთან სხვა წევრ სახელმწიფოებთან და სხვა სახის ეკონომიკური ინტეგრაციასთან, რაც ქვეყანაშია არსებულ ბიზნესს კიდევ უფრო დიდ შესაძლებლობებს აძლევს. სამხედრო თუ სხვა ტიპის ალიანსებიც ახდენენ ირიბ გავლენას კომერციული კავშირების გაზრდაზე რეგიონში, რადგან ხელს უწყობენ უსაფრთხოების უზრუნველყოფას, გარემოს დაცვას და ა.შ.

1.2.10 ტვირთის გადაადგილება სადავო საზღვარზე

სადავო საზღვრის გავლით არსებული ბიზნესსაქმიანობა მნიშვნელოვნად დაკავშირებულია ტვირთბრუნვასთან. ამიტომ ტვირთის გადაადგილების თავისუფლება დიდ როლს თამაშობს ეკონომიკური აქტივობების განვითარებაში.

აღნიშნული საკითხთან დაკავშირებულია ორმაგი დაბრკოლება, რადგან ტვირთის გადატანა შესაძლოა აკრძალული იყოს როგორც ცენტრალური ხელისუფლების ისე დე ფაქტო მმართველთა მიერ. შესაბამისად ამგვარი პრობლემის არსებობა მნიშვნელოვან დაღს ასვამს კომერციულ საქმიანობას გაყოფილ საზოგადოებებს შორის.

1.2.11 ბიზნესგარემო ქვეყანაში

სახელმწიფოში არსებული ბიზნესგარემო წარმოადგენს იმ ფაქტორთა ჯამს, რომელიც დაკავშირებულია საკანონმდებლო ნორმებთან, ბიუროკრატიულ დაბრკოლებებთან, საწყისი კაპიტალის მოპოვებასთან, საგადასახადო სისტემასთან, კორუფციის დონესთან და კიდევ სხვა მცირე ნიუანსებთან, რომლებიც უზრუნველყოფენ ბიზნესის დაწყების და განვითარების წარმატებას.

კარგი ბიზნესგარემო, რომელიც საერთაშორისო რეიტინგებით ყოველწლიურად იზომება, გავლენას ახდენს ქვეყანაში კერძო სექტორის გაძლიერებაზე, შესაბამისი

საკანონმდებლო რეგულაციების პირობებში კი იგივე სიკეთეებით სადავო საზღვრის მეორე მხარეს მცხოვრები მოსახლეობაც სარგებლობს.

II თავი

ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტის მშვიდობიანი ტრანსფორმაცია

2.1 ბიზნესის მეშვეობით მშვიდობის მშენებლობისთვის საჭირო გარემო მისი განმაპირობებელი ფაქტორები

წინა თავში განხილულ იქნა ბიზნესის მოცულობის მნიშვნელობა, ბიზნესის მონაწილეობით ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტების მშვიდობიან ტრანსფორმაციაში. თუმცა, სადავო საზღვრის გავლით არსებული კომერციული ურთიერთობების ზომის განმსაზღვრელი ცვლადების გარდა, არსებობს სხვა მნიშვნელოვანი გარემოებებიც, რომლებსაც მიუხედავად ამგვარი ბიზნესურთიერთობების ინტენსივობისა, მაინც შეუძლიათ გადამწყვეტი გავლენა მოახდინონ სამშვიდობო პროცესზე:

მაღალი და საშუალო დონის ლიდერები. პიროვნებებს, რომელთაც აქვთ ლეგიტიმაცია წარმოადგენდნენ სახელმწიფოს, რეგიონს ან საზოგადოების რომელიმე ჯგუფს, შესაბამისად მათი სახელით იღებენ გადაწყვეტილებებს მოლაპარაკებების ან პოლიტიკის დაგეგმვის პირობებში, უდიდესი როლი ეკისრებათ სამშვიდობო პროცესის დროს.

მესამე მხარის ჩართულობა. იშვიათი გამონაკლისების გარდა, ეთნო-პოლიტიკურ კონფლიქტებში აუცილებლად არსებობს მესამე, ირიბი, ან პროცესებში უშუალოდ ჩართული მხარე. შესაძლოა ის იყოს სახელმწიფო, ან სახელმწიფოთა ალიანსი. ამგვარი პროცესები საერთაშორისო კონფლიქტის კონტექსტში ინაცვლებს, რაც ერთი-ორად ართულებს სამშვიდობო პროცესის წარმართვას.

კონფლიქტის ისტორია. სამშვიდობო პროცესის წარმატებისთვის დიდი მნიშვენლობა აქვს კონფლიქტურ წარსულ. დაპირისპირების წარმომშვები ფაქტორები, დაპირისპირების ფორმა და მსხვერპლი, როგორც წესი, მნიშვნელოვან როლს თამაშობენ დადებითი შედეგისკენ სვლის გზაზე.

2.1.1 ცენტრალური ხელისუფლების პოლიტიკა კონფლიქტური რეგიონის მიმართ

სახელმწიფოს შიგნით არსებული ნებისმიერი კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტა დამოკიდებულია ლეგიტიმურ ხელისუფლებაზე. არალეგიტიმური ხელისუფლების სამშვიდობო მიზნები ყოველთვის სათუოა, რადგან, დიდი ალბათობით, ის თავად არის საზოგადოებაში გარკვეული კონფლიქტის მიზეზი, ამასთანავე ხელისუფლება, რომელიც არადემოკრატიული გზით გახდა მმართველი ძალა, შეეცდება გრძელვადიანი სამშვიდობო პროცესის ნაცვლად, თუ ამის რესურსი აქვს, მოკლევადიანი გადაწყვეტის გზები გამოიყენოს, ისეთი როგორიცაა საომარი მოქმედებები. ან მუდმივი კონფრონტაციული პოლიტიკის პირობებში შეეცადოს საზოგადოების გაერთიანება „საერთო მტრის“ წინააღმდეგ, რაც უკანა პლანზე გადაწევს ქვეყანაში არსებულ სხვა პრობლემებს.

მმართველი ძალის ნება გადამწყვეტია სამშვიდობო პროცესის წარმატებისთვის, მათ შორის ბიზნესის გამოყენებით, რადგან რამდენადაც მასშტაბური არ უნდა იყოს ეკონომიკური ურთიერთობების მოცულობა სადავო საზღვრის გავლით, ხელისუფლების საწინააღმდეგო ნების, მაგალითად, კონფლიქტური რეგიონის მიმართ კონფრონტაციული პოლიტიკის, პირობებში შეუძლებელი იქნება მშვიდობის მშენებლობა.

არისი შემთხვევები, როცა კონფლიქტის ტრანსფორმაცია ხელისუფლების ნეიტრალური პოლიტიკის პირობებშიც ხდება. ამის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ 1995-2003 წლებში ოფიციალური თბილისის დამოკიდებულება ცხინვალის რეგიონის მიმართ. შედეგად რეგიონში გაიხსნა ერგნეთის ბაზარი, თავისუფლად ხდებოდა მოსახლეობის გადაადგილება ადმინისტრაციულ საზღვარზე ყველა მხრიდან, თავისუფალი იყო საავტომობილო მიმოსვლა.

სამშვიდობო პროცესით მაქსიმალურად დადებითი შედეგების მიღება შეუძლებელია ხელისუფლების აქტიური ჩართულობის გარეშე. რადგან მშვიდობის მშენებლობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის შექმნა ქვეყნის მმართველი ძალის გარეშე, თითქმის შეუძლებელია, ეს ეხება როგორც აღმასრულებელ, ისე საკანონმდებლო ხელისუფლებას. რესურსები გამოყოფა, შესაბამისი სამართლებრივი ბაზის შექმნა, საერთაშორისო აქტორების

ჩართულობის უზრუნველყოფა. ეს ის ამოცანებია, რომელთა შესრულება ქვეყნის ხელისუფლების აქტიურობის გარეშე შეუძლებელია.

2.1.2 სახელმწიფოს კანონმდებლობა კონფლიქტურ რეგიონთან მიმართებაში

კანონმდებლობის მნიშვნელობა სადავო საზღვრების გავლით არსებული ბიზნესის განვითარებაზე ზემოთ განვიხილეთ, თუმცა ბიზნესის წახალისების გარდა კანონმდებლობას სამშვიდობო პროცესისთვის ერთ-ერთი მთავარი ხელშემწყობის ფუნქციაც აქვს. კონფლიქტურ რეგიონში ნებისმიერი მოცულობის ბიზნესის არსებობა ვერ იქნება მშვიდობის მშენებლობის ხელშემწყობი თუ ის კანონმდებლობით აკრძალულია. შესაბამისად კომერციული საქმიანობა ინაცვლებს, არალეგალურ, უკონტროლო სივრცეში სადაც ის თანაბარ შესაძლებლობებს ფლობს გახდეს, როგორც საზოგადოების სხვადასხვა ნაწილში მცხოვრებთათვის დამაკავშირებელი, ისე მათ შორის კონფლიქტის წარმომქმნელი. რაც მნიშვნელოვნად ამცირებს მის სამშვიდობო პოტენციალს.

2.1.3 ფაქტობრივი მმართველობა ქვეყნის კონფლიქტურ რეგიონში

სამშვიდობო პროცესისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას თუ ვინ ახორციელებს ეფექტურ მმართველობას ქვეყნის კონფლიქტური რეგიონში. სხვადასხვა სირთულეს წარმოადგენს ადგილობრივი ჯგუფიდან წამოსულ ლიდერებთან და მესამე მხარესთან კოოპერაციაში მყოფ დე ფაქტო ხელისუფლებასთან პროცესების მართვა. თუ ამ ყველაფერს ცენტრალური ხელისუფლების ნების საწინააღმდეგოდ უცხო ქვეყნის სამხედრო ნაწილების ყოფნაც თან ერთვის რეგიონში, მაშინ ოკუპაციასთან გავქვს საქმე და ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტი საერთაშორისო კონფლიქტის ჭრილში გადადის, რაც ერთი-ორად აძნელებს მშვიდობის მშენებლობას.

2.1.4 სოციალური ინტიტუტები

ეს ორგანიზებული სისტემები, რომლებიც საზოგადოებაში ხალხის მოთხოვნილებების საპასუხოდ, არსებულ ნორმებსა და კავშირებს აერთიანებენ, არიან ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს საზოგადოებების

განწყობებზე და დამოკიდებულებებზე ამა თუ იმ საკითხის მიმართ. შესაბამისად გავლენას ახდენენ გაყოფილ საზოგადოებებში ურთიერთობის ჩამოყალიბებაზე, ან მათ აკრძალვაზე. სოციალური ინსტიტუტების გავლენა უფრო მეტად დამახასიათებელია ტრადიციული საზოგადოებებისთვის.

სოციალური ინსტიტუტები დიდ როლს თამაშობს კონფლიქტის ტრანსფორმაციაში ბიზნესის გამოყენებაზე, განსაკუთრებით იქ, სადაც კანონმდებლობაზე უფრო დიდი გავლენა კერძო პირებს და მათ ავტორიტეტს აქვს. სიტუაცია ყველაზე მეტად რთულდება თუ აღნიშნული ინსტიტუტები და მათი წევრები კანონგარეშე ორგანიზაციებს წარმოადგენენ, რომლებიც შიშის გამო, ხალხში დიდი გავლენით სარგებლობენ. შედეგად თითქმის შეუძლებელი ხდება საზოგადოებების ურთიერთობების შედეგად მიღებული სარგებელის სამართლიანი გადანაწილება.

2.1.5 ალიანსების წევრობა

ბიზნესის შესაძლებლობები კონფლიქტის ტრანსფორმაციაში გამოსავლენად საუკეთესო პირობებს უქმნის უსაფრთხო და სამართლებრივი გარემო. ევროპული გაერთიანებები სწორედ ის ორგანიზაციებია, რომლის წევრი ქვეყნებიც აღნიშნული გარემოთი გამოირჩევიან. შესაბამისად, იმის გარდა, რომ ნებისმიერი სახის სახელმწიფოთა გაერთიანება წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტორს მისი ქვეყნის სამშვიდობო პოტენციალის გაზრდაში, ევროპული გაერთიანებები ამ მხრივ მაინც გამორჩეულები არიან, რადგან ორგანიზაციების წესდებების შესაბამისად მაღალი დონის ურთიერთინტეგრაცია აიძულებთ მათ იზრუნონ მათთან ერთად ალიანსისი წევრი ქვეყნების სტაბილურობაზე, როგორც ეკონომიკური ისე სამხედრო თვალსაზრისით.

2.1.6 ქვეყნის კონფლიქტური რეგიონის მოსახლეობის პოლიტიკური მისწრაფება

სადავო საზღვრის მიღმა მცხოვრები საზოგადოების პოლიტიკური მისწრაფებაზეა ხშირად დამოკიდებული მხარეებს შორის საერთო აღქმული პლატფორმის არსებობა. ამის გამო კონფლიქტური რეგიონის მოსახლეობის მიზანი მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს.

რეგიონის, ეთნიკური უმცირესობის ან გარკვეული პოლიტიკური ჯგუფის მიზანი შეგვიძლია სამ ზოგად ნაწილად გავყოთ. ავტონომია სახელმწიფო საზღვრებში, შემთხვევა, სადაც რეგიონი რჩება სახელმწიფო იურისდიქციის ქვეშ შიდა პოლიტიკურ საქმეებზე ცენტრალური ხელისუფლების ჩაურევლობის გარანტიით. დამოუკიდებლობა, რომელიც რეგიონის გამოყოფას გულისხმობს მანამდე აღიარებული სახელმწიფო საზღვრებიდან და ახალი სუვერენული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას. ირედენტიზმი, რომელიც გულისხმობს რეგიონის გამოყოფას კონკრეტული სახელმწიფოს შემადგენლობიდან და მეორე სახელმწიფოს შემადგენლობაში შესვლას.

სამშვიდობო პროცესისთვის მოსახლეობის სურვილები შიდა ავტონომიიდან ირედენტიზმამდე გულისხმობს ცენტრალურ ხელისუფლებას და რეგიონს შორის აღქმული საერთო პლატფორმის შემცირებას, შესაბამისად სამშვიდობო პროცესისთვის საჭირო გარემოს გაუარესებას.

2.1.7 ქვეყნის კონფლიქტური რეგიონის საერთაშორისო სტატუსი

რეგიონის საერთაშორისო სტატუსი არის საზოგადოების ზემოთ განხილული პოლიტიკური მისწრაფებების აღიარება სხვა სახელმწიფოების მიერ. თვითგამორკვევის უფლება და სახელმწიფოს სუვერენიტეტის ხელშეუხებლობა ის ცნებებია, რომელთა სამართლებრივი კოლიზეა ჯერაც დაუძლეველია საერთაშორისო სამართლის მიერ, შესაბამისად დიდი მნიშვენლობა ენიჭება ცალკეული საერთაშორისო აქტორების მიერ სუბიექტურ შეხედულებას საერთაშორისო სამართალსა და კონფლიქტურ სიტუაციაზე.

მყარი ნორმატიული აქტის არ არსებობა, რომელიც შესაძლებლობას გააჩენდა ობიექტური სინამდვილის დადგენისას, ქმნის შესაძლებლობას ნებისმიერი პოზიცია ასეთ შემთხვევებთან მიმართებაში დასაბუთებული იყოს სამართლის ნორმების სუბიექტური ინტერპრეტაციით. შესაბამისად ამგვარ სუბიექტურ პოზიციებს ენიჭებათ უსამართლოდ დიდი მნიშვნელობა, ამასთან ერთად, რეგიონის აღიარების შემთხვევაში, კონფლიქტში ირიბად მაინც ერთვება სახვა

სახელმწიფო, რაც მნიშვნელოვნად უარყოფით გავლენას ახდენს ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტების მშვიდობიანი ტრანსფორმაციის პროცესში.

2.1.8 საომარი მოქმედებებიდან გასული დრო

როგორც წესი, ეთნო-პოლიტიკურ კონფლიქტებს თან ახლავთ საომარი მოქმედებები, რაც შემდგომ სამშვიდობო პროცესს მნიშვნელოვნად ართულებს. ამ შემთხვევაში დრო ამ სირთულის განეიტრალებაზე მუშაობს და რაც უფრო მეტად გადის დრო შეიარაღებული კონფლიქტიდან, მით უფრო მეტი შანსი ჩნდება ახალი კავშირების გაბმის. კონფლიქტის შემდგომი უახლოესი მომავალი სამშვიდობო პროცესისთვის უფრო მეტად იმ წინაპირობის მოსამზადებელი ეტაპია, რომელის საფუძველზეც, გარკვეული პერიოდის შემდეგ შედგება საზოგადოებებს შორის კონტაქტი, სხვა შემთხვევაში იმ ადმიანებს, რომელთაც ცოტახნის წინ ოჯახის წევრები ბრძოლებში დაკარგეს, ვერ ექნებათ ფსიქოლოგიური მზაობა დაპირისპირებულ მხარესთან ერთად სამშვიდობო პროცესებში მიიღოს პროდუქტიული მონაწილეობა.

2.1.9 საომარი მოქმედებების ადამიანური მსხვერპლი

სამშვიდობო პროცესის წარმატებაში მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად მიღებულ ადამიანური მსხვერპლის რაოდენობაზე. დაპირისპირების დროს დაღუპული თითოეული ადამიანის უკან დგას მისი ოჯახი და მეგობრები, რომლებიც ქმნიან საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც სადავო საზღვრის მეორე მხარეს ცხოვრობს. რაც უფრო დიდია ადამიანური მსხვერპლი, მით უფრო რთულია სამშვიდობო პროცესი და დროში გაწელილი, განსაკუთრებით იქ სადაც ეთნიკური წმენდა ან პოლიტიკური და რელიგიური ნიშნით ადამიანების მასიური დევნა და სიცოცხლის ხელყოფა მოხდა.

2.1.10 მოსახლეობის გადაადგილება სადავო საზღვარზე

ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტის მშვიდობიანი ტრანსფორმაციის წარმატებული პროცესისთვის მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს გაყოფილ საზოგადოებებს შორის ურთიერთობის ინტენსივობა. სადაც ეს ურთიერთობა არსებობს, ანუ სადავო

საზღვრის გავლით თავისუფლად ახერხებენ სახვადასხვა მხარეს მაცხოვრებლები ქვეყნის დანარჩენ ნაწილში გადასვლას, იქ ბევრად მარტივად მიმდინარეობს პროცესი. რადგან კომუნაკაცია და ურთიერთმიმოსვლა გარკვეული სახის ტრანსფორმაციას თავადვე გულისხმობს, შესაბამისად უფრო მოკლე ხანში არის შესაძლებელი მეტი პოზიტიური ცვლილების მიღწევა. რაც შეეხება ურთიერთობის სრულ აკრძალვას, ამ შემთხვევაში ბიზნესის და სხვა არაოფიციალური სამშვიდობო პროექტების ბედი დიდწილად დამოკიდებულია მხარეთა ლიდერების შეთანხმებასა და მათ პოლიტიკურ ნებაზე.

III თავი

3.1 კვლევის შედეგები

კვლევის პირველ ეტაპზე ავთენტური ლიტერატურის და ეკონომიკის სფეროს ექსპერტთა გამოკითხვის შედეგად იდენტიფიცირება მოხდა იმ ფაქტორებისა, რომლებიც განაპირობებენ ბიზნესსურთიერთობების განვითარებას სადავო საზღვრის გავლით. ასეთი აღმოჩნდა თერთმეტი ცვლადი. შემდეგ გამოიკითხნენ კონფლიქტოლოგიის სფეროს ექსპერტები. შესაბამისი ლიტერატურის და გამოკითხვის შედეგადაც მოხდა იმ ათი ფაქტორის განსაზღვრა, რომელიც გავლენას ახდენს ბიზნესის მეშვეობით ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტის მშვიდობიან ტრანსფორმაციაზე.

კვლევის მეორე ეტაპზე მოხდა ექსპერტთა ანკეტირება. კვლევის ამ მეთოდით, ექსპერტთა შეხედულებებზე დაყრდნობით, პირველ რიგში განისაზღვრა სადავო საზღვრის გავლით არსებული ბიზნესის მოცულობის მნიშვნელობა, ბიზნესის მეშვეობით მშვიდობის მშენებლობაში. შემდეგ მოხდა იდენტიფიცირებული ფაქტორებისთვის სუბიექტური წონის მინიჭება, რომელიც მას შესაძლოა ჰქონოდა მშვიდობის მშენებლობისთვის საჭირო გარემოს ჩამოყალიბებაში. ზომოთ განმარტებული ბიზნესის მოცულობის განსაზღვრის შესაბამისად მოხდა ერთად აღებული ბიზნესის განვითარების ფაქტორების და ერთად აღებული მშვიდობის მშენებლობის ფაქტორების ურთიერთშეფარდების განსაზღვრა მშვიდობის მშენებლობისთვის საჭირო გარემოს შექმნაში.

ფაქტორებისთვის/ცვლადებისთვის წონის მინიჭების შემდეგ გამოიყო მდგომარეობები/მოცემულობები, რომელშიც შესაძლოა ყოფილიყო ფაქტორი. ეს ფაქტორი თითოეულ აღნიშნულ მოცემულობაში სხვადასხვა ძალით შეძლებდა გავლენა მოეხდინა ბიზნესის მეშვეობით მშვიდობის მშენებლობაზე. აღნიშნული გავლენები შეფასებულ იქნა ექსპერტთა ჯგუფის მიერ უარყოფითიდან დადებითამდე შესაბამისად 0%-დან 100%-მდე.

შედეგად მივიღეთ შესაძლებლობა თითოეული ფაქტორის წონა შეგვეფარდებინა მისი გავლენის სიძლიერესთან, იმ მდგომარეობის მიხედვით, რაშიც ის კონკრეტული კონფლიქტური შემთხვევის პირობებში იმყოფებოდა და ამით განგვესაზღვრა ფაქტორის გავლენის შეფარდებითი წონა ბიზნესის მეშვეობით მშვიდობის მშენებლობაზე. ხოლო ამ ფაქტორთა პროცენტული მაჩვენებლების ჯამის 100%-თვის (პირობითად, როგორც სრულყოფილი გარემო ბიზნესის მეშვეობით მშვიდობის მშენებლობისთვის) გამოკლების შედეგად მიგვეღო ბიზნესის მეშვეობით მშვიდობის მშენებლობის შესაძლებლობის პროცენტული მაჩვენებელი კონკრეტულ კონფლიქტურ შემთხვევაში.

3.2 შემუშავებული მეთოდოლოგია

ექსპერტთა ანკეტირებამ აჩვენა, რომ სადავო საზღვრის გავლით არსებული ბიზნესის მოცულობის მნიშვნელობა ანუ იმ ფაქტორთა ჯამი, რომელიც უზრუნველყოფენ რეგიონში ბიზნესის განვითარებას, ბიზნესის მეშვეობით კონფლიქტის მშვიდობიანი ტრანსფორმაციაში 76%-ს შეადგენს, შესაბამისად მშვიდობის მშენებლობისთვის საჭირო დანარჩენი ათი ფაქტორის ჯამური მნიშვნელობა 24%-ია.

თითოეული ფაქტორის წონა და იმ შესაძლო მოცემულობის გავლენა, რომელშიც შესაძლოა ეს ფაქტორი იმყოფებოდეს შემდეგნაირად გადანაწილდა.

სადავო საზღვრის გავლით არსებული ბიზნესურთიერთობის მოცულობის განმსაზღვრელი ფაქტორები:

1. ქვეყნის კონფლიქტური რეგიონის გეოგრაფიული მდებარეობა. 21%
   1.1 კონფლიქტურ რეგიონს ესაზღვრება მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი ტერიტორია. 100%
   1.2 კონფლიქტურ რეგიონს ესაზღვრება სახელმწიფო(ები), რომლ(ებ)იც არ აღიარებს მის დამოუკიდებლობას. 93%

1.3 კონფლიქტურ რეგიონს ესაზღვრება მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი ტერიტორია და ზღვაზე გასასვლელი. დამაკავშირებელი სხვა სახელმწიფოებთან, რომლებიც აღიარებენ მის დამოუკიდებლობას. 75%

1.4 კონფლიქტურ რეგიონს ესაზღვრება სახელმწიფო(ები), რომლ(ებ)იც აღიარებენ მის დამოუკიდებლობას. 36%

1.5 კონფლიქტურ რეგიონს ესაზღვრება სახელმწიფო(ები), რომლ(ებ)იც აღიარებენ მის დამოუკიდებლობას და ზღვაზე გასასვლელი. დამაკავშირებელი სხვა სახელმწიფოებთან, რომლებიც აღიარებენ მის დამოუკიდებლობას. 23%

2. მოსახლეობის რაოდენობა ქვეყნის კონფლიქტურ რეგიონში. 9%

2.1 15 მლ-ზე მეტი. 96%

2.2 15 მლ-მდე. 91%

2.3 7 მლ-მდე. 82%

2.4 3 მლ-მდე. 68%

2.5 500,000-მდე. 27%

3. წარმოების განვითარების დონე ქვეყნის კონფლიქტურ რეგიონში. 13%

(წარმოება იზომება რეგიონის მშპ-ში მისი პროცენტული წილით)

3.1 5% - მდე. 39 %

3.2 10% - მდე. 37%

3.3 20% - მდე. 69%

3.4 20% - ზე მეტი. 83%

4. კონფლიქტურ იქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე ($). 14%

4.1 4.000 $-მდე. 22 %

4.2 10.000 $-მდე. 46%

4.3 20.000 $-მდე. 76%

4.4 50.000 $-მდე. 88%

4.5 100.000 $-მდე. 98%

5. მოსახლეობის რაოდენობა ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე. 8%

5.1 150 მლ-ზე მეტი. 87%

5.2 150 მლ-მდე. 91%

5.3 80 მლ-მდე. 87%

5.4 30 მლ-მდე. 72%

5.5 5 მლ-მდე. 34%

6. სახელმწიფოს კანონმდებლობა კონფლიქტურ რეგიონთან მიმართებაში. 6%

6.1 განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმის არ არსებობა ქვეყნის ამ რეგიონში ბიზნესსაქმიანობაზე. 83%

6.2 განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმის გამარტივებული მოდელი, რომელიც აწესებს რეგულაციებს, მაგრამ ხელს არ უშლის კომერციულ საქმიანობას სადავო საზღვრის გავლით. 87%

6.3 განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმის გამარტივებული მოდელი, რომელიც აწესებს რეგულაციებს, მაგრამ სრულად არ კრძალავს კომერციულ საქმიანობას სადავო საზღვრის გავლით. 53%

6.4 განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმით აკრძალულია ბიზნესსაქმიანობა სადავო საზღვრის გავლით. 32%

7. კონფლიქტური ქვეყნის სახელმწიფოთაშორისი ალიანსების წევრობა. 6%

7.1 ეკონომიკური და სამხედრო ალიანსების წევრი. 97%

7.2 ეკონომიკური ალიანსის წევრი. 93%

7.3 სამხედრო ალიანსის წევრი. 87%

7.4 ალიანსის არაწევრი. 11%

8. ტვირთის გადაადგილება სადავო საზღვარზე. 10%

8.1 თავისუფალია ნებისმიერი რაოდენობის ტვირთის გადაადგილება. 96%

8.2 შეზღუდულია დიდი რაოდენობით ტვირთის გადაადგილება, თავისუფალია მცირე რაოდენობის (ხელით გადასატანი) ტვირთის გადაადგილება. 78%

8.3 აკრძალულია დიდი რაოდენობით ტვირთის გადაადგილება, შეზღუდულია მცირე რაოდენობის ტვირთის გადაადგილება. 52%

8.4 აკრძალულია ნებისმიერი სახის ტვირთის გადატანა გარდა პირადი ბარგისა. 26%

9. ბიზნესგარემო კონფლიქტურ ქვეყანაში. 4%

(doingbusiness.org-ის რეიტინგის მიხედვით)

9.1 1-10 ადგილი ბიზნესის კეთების სიმარტივის მხრივ. 100%

9.2 10-30 ადგილი. 99%

9.3 30-70 ადგილი. 79%

9.4 70- 100 ადგილი. 61%

9.5 100-190 ადგილი. 24%

10. სახელმწიფოს კონფლიქტური რეგიონის საერთაშორისო სტატუსი. 5%

10.1 არაღიარებული. 100%

10.2 აღიარებული 10-მდე გაეროს უშიშროების საბჭოს არაწევრი სახელმწიფოების მიერ. 76%

10.3 აღიარებული 10-მდე სახელმწიფოს, მათ შორის გაეროს უშიშროების საბჭოს წევრი სახელმწიფოს მიერ. 57%

10.4 აღიარებული 10-ზე მეტი სახელმწიფოს, მათ შორის გაეროს უშიშროების საბჭოს წევრი სახელმწიფოების ნაწილის მიერ. 32%

11. უსაფრთხოების დონე კონფლიქტურ ქვეყანაში. 4%

(ქვეყნის ადგილი „გლობალური მშვიდობის ინდექსის“-ის რეიტინგში)

11.1 1-20 ადგილი. 100%

11.2 30-60 ადგილი. 79%

11.3 60-100 ადგილი. 38 %

11.4 100-150 ადგილი. 21%

11.5 150-ზე ზევით. 7%

ბიზნესის მეშვეობით მშვიდობის მშენებლობის განმსაზღვრელი ფაქტორები:

1. სახელმწიფოს ხელისუფლების პოლიტიკა კონფლიქტური რეგიონის მიმართ. 17%

   1.1 სამშვიდობო 100%

   1.2 ნეიტრალური 54%

   1.3 კონფრონტაციული 2%

2. სახელმწიფოს კანონმდებლობა კონფლიქტურ რეგიონთან მიმართებაში. 12%

   2.1 განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმის არ არსებობა ქვეყნის ამ რეგიონში ბიზნესსაქმიანობაზე. 92%

   2.2 განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმის გამარტივებული მოდელი, რომელიც აწესებს რეგულაციებს, მაგრამ ხელს არ უშლის კომერციულ საქმიანობას სადავო საზღვრის გავლით. 87%

   2.3 განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმის გამარტივებული მოდელი, რომელიც აწესებს რეგულაციებს, მაგრამ სრულად არ კრძალავს კომერციულ საქმიანობას სადავო საზღვრის გავლით. 69%

   2.4 განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმით აკრძალულია ბიზნესსაქმიანობა სადავო საზღვრის გავლით. 26%

3. ოკუპაცია - ფაქტობრივი მმართველობა კონფლიქტურ რეგიონში. 12%

3.1 არ არის ოკუპირებული. (რეგიონში არ დგას უცხო ქვეყნის სამხედრო შენაერთები და მმართველობა ხორციელდება ადგილობრივების მიერ). 97%

3.2 ოკუპირებულია. (რეგიონში დგას უცხო ქვეყნის სამხედრო შენაერთები, მმართველობა ხორციელდება უცხო ქვეყნის ან მათ დაქვემდებარებაში მყოფი ჯგუფის მიერ. ეთნო-პოლიტიკურ კონფლიქტთან ერთად არსებობს საერთაშორისო კონფლიქტი). 16%

4. სოციალური ინსტიტუტები სახელმწიფოს კონფლიქტურ რეგიონში. 10%

4.1 ძლიერი სოციალური ინსტიტუტები, რომლებიც ხელს უწყობენ კომერციული ურთიერთობების წარმოქმნას გაყოფილ საზოგადოებებს შორის. 100%

4.2 სუსტი სოციალური ინსტიტუტები, რომლებიც ხელს უწყობენ კომერციული ურთიერთობების წარმოქმნას გაყოფილ საზოგადოებებს შორის. 92%

4.3 სოციალური ინსტიტუტების გავლენა უმნიშვნელოა ან ინდიფერენტულნი არიან მოცემული საკითხის მიმართ. 86%

4.4 სუსტი სოციალური ინსტიტუტები, რომლებიც ხელს უშლიან კომერციული ურთიერთობების წარმოქმნას გაყოფილ საზოგადოებებს შორის. 65%

4.5 ძლიერი სოციალური ინსტიტუტები, რომლებიც ხელს უშლიან კომერციული ურთიერთობების წარმოქმნას გაყოფილ საზოგადოებებს შორის. 21%

5. კონფლიქტური ქვეყნის სახელმწიფოთაშორისი ალიანსების წევრობა. 11%

5.1 ეკონომიკური და სამხედრო ალიანსების წევრი. 100%

5.2 ეკონომიკური ალიანსის წევრი. 93%

5.3 სამხედრო ალიანსის წევრი. 89%

5.4 ალიანსის არაწევრი. 0%

6. სახელმწიფოს კონფლიქტური რეგიონის საერთაშორისო სტატუსი. 6%

6.1 არაღიარებული. 100%

6.2 აღიარებული 10-მდე გაეროს უშიშროების საბჭოს არაწევრი სახელმწიფოების მიერ. 77%

6.3 აღიარებული 10-მდე სახელმწიფოს, მათ შორის გაეროს უშიშროების საბჭოს წევრი სახელმწიფოს მიერ. 46%

6.4 აღიარებული 10-ზე მეტი სახელმწიფოს, მათ შორის გაეროს უშიშროების საბჭოს წევრი სახელმწიფოების ნაწილის მიერ. 8%

7. სახელმწიფოს კონფლიქტური რეგიონის მოსახლეობის პოლიტიკური მისწრაფება. 9%

7.1 ავტონომია სახელმწიფოს საზღვრებში. 94%

7.2 სრული დამოუკიდებლობა. 61%

7.3 ირედენტიზმი. 11%

8. საომარი მოქმედებებიდან გასული დრო. 6%

8.1 100 წლამდე. 100%

8.2 70 წლამდე. 98%

8.3 30 წლამდე. 72%

8.4 10 წლამდე. 4%

9. საომარი მოქმედებების ადამიანური მსხვერპლი. 6%

9.1 მოსახლეობის 1%-მდე. 90%

9.2 მოსახლეობის 5%-მდე. 68%

9.3 მოსახლეობის 10 %-მდე. 37%

9.4 მოსახლეობის 10%-ის ზევით. 3%

10. მოსახლეობის გადაადგილება სადავო საზღვრის მიღმა. 11%

10.1 თავისუფალია გადაადგილება. 100%

10.2 შეზღუდულია გადაადგილება. 64%

10.3 აკრძალულია გადაადგილება. 7%

3.3 აფხაზეთის შემთხვევა

ზემოთ მოყვანილი ცხრილი წარმოადგენს ბიზნესის მეშვეობით ეთნო-პოლიტიკურ კონფლიქტების მშვიდობიანი ტრანსფორმაციის შესაძლებლობის საზომ მექანიზმს. მოცემული მექანიზმის საშუალებით აფხაზეთის კონფლიქტის შემთხვევაში გაზომილმა ბიზნესის შესაძლებლობებმა შემდეგი შედეგები აჩვენა:

შენიშვნა: აფხაზეთის კონფლიქტის შემთხვევის შესაფერისი მოცემულობა წითლად არის აღნიშნული.

სადავო საზღვრის გავლით არსებული ბიზნესურთიერთობის მოცულობის განმსაზღვრელი ფაქტორები:

1. ქვეყნის კონფლიქტური რეგიონის გეოგრაფიული მდებარეობა. 21%

1.1 კონფლიქტურ რეგიონს ესაზღვრება მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი ტერიტორია. 100%

1.2 კონფლიქტურ რეგიონს ესაზღვრება სახელმწიფო(ები), რომლ(ებ)იც არ აღიარებს მის დამოუკიდებლობას. 93%

1.3 კონფლიქტურ რეგიონს ესაზღვრება მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი ტერიტორია და ზღვაზე გასასვლელი. დამაკავშირებელი სხვა სახელმწიფოებთან, რომლებიც აღიარებენ მის დამოუკიდებლობას. 75%

1.4 კონფლიქტურ რეგიონს ესაზღვრება სახელმწიფო(ები), რომლ(ებ)იც აღიარებენ მის დამოუკიდებლობას. 36%

1.5 კონფლიქტურ რეგიონს ესაზღვრება სახელმწიფო(ები), რომლ(ებ)იც აღიარებენ მის დამოუკიდებლობას და ზღვაზე გასასვლელი. დამაკავშირებელი სხვა სახელმწიფოებთან, რომლებიც აღიარებენ მის დამოუკიდებლობას. 23%

მაგ: ფაქტორისათვის მინიჭებული წონა 21%-ის 36% არის 7,56. მაშასადამე აფხაზეთის შემთხვევაში გეოგრაფიული მდებარეობის ფაქტორი სადავო საზღვრების გავლით ბიზნესის მოცულობის განვითარებაში შესაძლო 21%-დან თამაშობს 7,56%. რაც შეეხება მთლიანად ბიზნესის მეშვეობით მშვიდობის მშენებლობის პროცესს, აქ აღნიშნულ მოცემულობას უკავია ბიზნესის მოცულობის განვითარების მნიშვნელობის წილის, 76%-ის 7,56% ანუ დაახლოებით 5,75%.

2. მოსახლეობის რაოდენობა ქვეყნის კონფლიქტურ რეგიონში. 9%

2.1 15 მლ-ზე მეტი. 96%

2.2 15 მლ-მდე. 91%

2.3 7 მლ-მდე. 82%

2.4 3 მლ-მდე. 68%

2.5 500,000-მდე. 27%

3. წარმოების განვითარების დონე ქვეყნის კონფლიქტურ რეგიონში. 13%

(წარმოება იზომება რეგიონის მშპ-ში მისი პროცენტული წილით)

3.1 5% - მდე. 39 %

3.2 10% - მდე. 37%

3.3 20% - მდე. 69%

3.4 20% - ზე მეტი. 83%

4. კონფლიქტური ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე ($). 14%

4.1 4.000 $-მდე. 22 %

4.2 10.000 $-მდე. 46%

4.3 20.000 $-მდე. 76%

4.4 50.000 $-მდე. 88%

4.5 100.000 $-მდე. 98%

5. მოსახლეობის რაოდენობა ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე. 8%

5.1 150 მლ-ზე მეტი. 87%

5.2 150 მლ-მდე. 91%

5.3 80 მლ-მდე. 87%

5.4 30 მლ-მდე. 72%

5.5 5 მლ-მდე. 34%

6. სახელმწიფოს კანონმდებლობა კონფლიქტურ რეგიონთან მიმართებაში. 6%

6.1 განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმის არ არსებობა ქვეყნის ამ რეგიონში ბიზნესსაქმიანობაზე. 83%

6.2 განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმის გამარტივებული მოდელი, რომელიც აწესებს რეგულაციებს, მაგრამ ხელს არ უშლის კომერციულ საქმიანობას სადავო საზღვრის გავლით. 87%

6.3 განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმის გამარტივებული მოდელი, რომელიც აწესებს რეგულაციებს, მაგრამ სრულად არ კრძალავს კომერციულ საქმიანობას სადავო საზღვრის გავლით. 53%

6.4 განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმით აკრძალულია ბიზნესსაქმიანობა სადავო საზღვრის გავლით. 32%

7. კონფლიქტური ქვეყნის სახელმწიფოთაშორისი ალიანსების წევრობა. 6%

7.1 ეკონომიკური და სამხედრო ალიანსების წევრი. 97%

7.2 ეკონომიკური ალიანსის წევრი. 93%

7.3 სამხედრო ალიანსის წევრი. 87%

7.4 ალიანსის არაწევრი. 11%

8. ტვირთის გადაადგილება სადავო საზღვარზე. 10%

8.1 თავისუფალია ნებისმიერი რაოდენობის ტვირთის გადაადგილება. 96%

8.2 შეზღუდულია დიდი რაოდენობით ტვირთის გადაადგილება, თავისუფალია მცირე რაოდენობის (ხელით გადასატანი) ტვირთის გადაადგილება. 78%

8.3 აკრძალულია დიდი რაოდენობით ტვირთის გადაადგილება, შეზღუდულია მცირე რაოდენობის ტვირთის გადაადგილება. 52%

8.4 აკრძალულია ნებისმიერი სახის ტვირთის გადატანა გარდა პირადი ბარგისა. 26%

9. ბიზნესგარემო კონფლიქტურ ქვეყანაში. 4%

(doingbusiness.org-ის რეიტინგის მიხედვით)

9.1 1-10 ადგილი ბიზნესის კეთების სიმარტივის მხრივ. 100%

9.2 10-30 ადგილი. 99%

9.3 30-70 ადგილი. 79%

9.4 70- 100 ადგილი. 61%

9.5 100-190 ადგილი. 24%

10. სახელმწიფოს კონფლიქტური რეგიონის საერთაშორისო სტატუსი. 5%

10.1 არაღიარებული. 100%

10.2 აღიარებული 10-მდე გაეროს უშიშროების საბჭოს არაწევრი სახელმწიფოების მიერ. 76%

10.3 აღიარებული 10-მდე სახელმწიფოს, მათ შორის გაეროს უშიშროების საბჭოს წევრი სახელმწიფოს მიერ. 57%

10.4 აღიარებული 10-ზე მეტი სახელმწიფოს, მათ შორის გაეროს უშიშროების საბჭოს წევრი სახელმწიფოების ნაწილის მიერ. 32%

11. უსაფრთხოების დონე კონფლიქტურ ქვეყანაში. 4%

(ქვეყნის ადგილი „გლობალური მშვიდობის ინდექსის"-ის რეიტინგში)

11.1 1-20 ადგილი. 100%

11.2 30-60 ადგილი. 79%

11.3 60-100 ადგილი. 38 %

11.4 100-150 ადგილი. 21%

11.5 150-ზე ზევით. 7%

სულ 100-დან 49,49. შესაბამისად 76-დან 37,6.

ბიზნესის მეშვეობით მშვიდობის მშენებლობის განმსაზღვრელი ფაქტორები:

1. სახელმწიფოს ხელისუფლების პოლიტიკა კონფლიქტური რეგიონის მიმართ. 17%

   1.1 სამშვიდობო 100%

   1.2 ნეიტრალური 54%

   1.3 კონფრონტაციული 2%

2. სახელმწიფოს კანონმდებლობა კონფლიქტურ რეგიონთან მიმართებაში. 12%

   2.1 განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმის არ არსებობა ქვეყნის ამ რეგიონში ბიზნესსაქმიანობაზე. 92%

2.2 განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმის გამარტივებული მოდელი, რომელიც აწესებს რეგულაციებს, მაგრამ ხელს არ უშლის კომერციულ საქმიანობას სადავო საზღვრის გავლით. 87%

2.3 განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმის გამარტივებული მოდელი, რომელიც აწესებს რეგულაციებს, მაგრამ სრულად არ კრძალავს კომერციულ საქმიანობას სადავო საზღვრის გავლით. 69%

2.4 განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმით აკრძალულია ბიზნესსაქმიანობა სადავო საზღვრის გავლით. 26%

3. ოკუპაცია - ფაქტობრივი მმართველობა კონფლიქტურ რეგიონში. 12%

3.1 არ არის ოკუპირებული. (რეგიონში არ დგას უცხო ქვეყნის სამხედრო შენაერთები და მმართველობა ხორციელდება ადგილობრივების მიერ). 97%

3.2 ოკუპირებულია. (რეგიონში დგას უცხო ქვეყნის სამხედრო შენაერთები, მმართველობა ხორციელდება უცხო ქვეყნის ან მათ დაქვემდებარებაში მყოფი ჯგუფის მიერ. ეთნო-პოლიტიკურ კონფლიქტთან ერთად არსებობს საერთაშორისო კონფლიქტი). 16%

4. სოციალური ინსტიტუტები სახელმწიფოს კონფლიქტურ რეგიონში. 10%

4.1 ძლიერი სოციალური ინსტიტუტები, რომლებიც ხელს უწყობენ კომერციული ურთიერთობების წარმოქმნას გაყოფილ საზოგადოებებს შორის. 100%

4.2 სუსტი სოციალური ინსტიტუტები, რომლებიც ხელს უწყობენ კომერციული ურთიერთობების წარმოქმნას გაყოფილ საზოგადოებებს შორის. 92%

4.3 სოციალური ინსტიტუტების გავლენა უმნიშვნელოა ან ინდიფერენტულნი არიან მოცემული საკითხის მიმართ. 86%

4.4 სუსტი სოციალური ინსტიტუტები, რომლებიც ხელს უშლიან კომერციული ურთიერთობების წარმოქმნას გაყოფილ საზოგადოებებს შორის. 65%

4.5 ძლიერი სოციალური ინსტიტუტები, რომლებიც ხელს უშლიან კომერციული ურთიერთობების წარმოქმნას გაყოფილ საზოგადოებებს შორის. 21%

5. კონფლიქტური ქვეყნის სახელმწიფოთაშორისი ალიანსების წევრობა. 11%

5.1 ეკონომიკური და სამხედრო ალიანსების წევრი. 100%

5.2 ეკონომიკური ალიანსის წევრი. 93%

5.3 სამხედრო ალიანსის წევრი. 89%

5.4 ალიანსის არაწევრი. 0%

6. სახელმწიფოს კონფლიქტური რეგიონის საერთაშორისო სტატუსი. 6%

6.1 არაღიარებული. 100%

6.2 აღიარებული 10-მდე გაეროს უშიშროების საბჭოს არაწევრი სახელმწიფოების მიერ. 77%

6.3 აღიარებული 10-მდე სახელმწიფოს, მათ შორის გაეროს უშიშროების საბჭოს წევრი სახელმწიფოს მიერ. 46%

6.4 აღიარებული 10-ზე მეტი სახელმწიფოს, მათ შორის გაეროს უშიშროების საბჭოს წევრი სახელმწიფოების ნაწილის მიერ. 8%

7. სახელმწიფოს კონფლიქტური რეგიონის მოსახლეობის პოლიტიკური მისწრაფება. 9%

7.1 ავტონომია სახელმწიფოს საზღვრებში. 94%

7.2 სრული დამოუკიდებლობა. 61%

7.3 ირედენტიზმი. 11%

8. საომარი მოქმედებებიდან გასული დრო. 6%

8.1 100 წლამდე. 100%

8.2 70 წლამდე. 98%

8.3 30 წლამდე. 72%

8.4 10 წლამდე. 4%

9. საომარი მოქმედებების ადამიანური მსხვერპლი. 6%

9.1 მოსახლეობის 1%-მდე. 90%

9.2 მოსახლეობის 5%-მდე. 68%

9.3 მოსახლეობის 10 %-მდე. 37%

9.4 მოსახლეობის 10%-ის ზევით. 3%

10. მოსახლეობის გადაადგილება სადავო საზღვრის მიღმა. 11%

10.1 თავისუფალია გადაადგილება. 100%

10.2 შეზღუდულია გადაადგილება. 64%

10.3 აკრძალულია გადაადგილება. 7%

სულ 100-დან 66,87, შესაბამისად 24-დან 16.

აფხაზეთის შემთხვევის კვლევით დადგინდა, რომ აღნიშნულ კონფლიქტში ბიზნესის მეშვეობით მშვიდობის მშენებლობისთვის საჭირო ოპტიმალური პირობების მხოლოდ **63,6 %** არსებობს.

დასკვნა

მოცემული კვლევა მიზნად ისახავდა ისეთი მექანიზმის, მეთოდოლოგიის შემუშავებას, რომელიც შეძლებდა ბიზნესის მეშვეობით ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტების ტრანსფორმაციისთვის საჭირო გარემოს იდენტიფიცირებას და კონკრეტულ კონფლიქტურ შემთხვევებში მისი სამშვიდობო პოტენციალის გაზომვას. აღნიშნული მეთოდოლოგია არ ცდილობს ეჭქვეშ დააყენოს ბიზნესის სამშვიდობო შესაძლებლობები და მისი, როგორც არაოფიციალური დიპლომატიის ერთ-ერთი მთავარი გზის, გამოყენების სასურველობა ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტის ნებისმიერ შემთხვევისთვის. არც მისი კრიტიკოსების საწინააღმდეგოდ, ამ თეორიის უნივერსალურობას ან უნაკლობას ამტკიცებს. მისი მიზანია ზოგადად ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტის შემთხვევისთვის დამახასიათებელი გარემოს და კონფლიქტური შემთხვევების შესაბამისად მათი გარემოების განმასხვავებელი ფაქტორების კვლევით/გაზომვით ახსნას ამ თეორიის ამბივალენტური ხასიათი.

აღნიშნული მეთოდოლოგიით მიღებული კვლევის შედეგები, შესაძლოა გამოყენებულ იქნას სამშვიდობო პოლიტიკის დაგეგმვისას პრიორიტეტების განსასაზღვრად. ის ასევე შესაძლებლობას იძლევა ბიზნესის მეშვეობით მშვიდობის მშენებლობისთვის საჭირო გარემოს გაუმჯობესებაში იქნას გამოყენებული. კერძოდ: იდენტიფიცირებული ფაქტორებიდან, რომლებიც ყველა ეთნო-პოლიტიკურ კონფლიქტს ახასიათებს ნაწილი უცვლელი მოცემულობაა, მაგ: გეოგრაფიული მდებარეობა, შეიარაღებული კონფლიქტის მსხვერპლი და ა.შ. მაგრამ არის ისეთი ფაქტორები, რომლის შეცვლაც შესაძლებელია სამომავლოდ: კანონმდებლობის მოქნილობა, ეკონომიკური განვითარება და ა.შ.

Bibliography

Annan, K. (2004). *Role of Business in Armed Conflict Can Be Crucial – For Good and For Ill.* United Nations.

Bjelic, P. (2015). *Trade between Serbia and Kosovo.* London: International Alert.

Bowen, H. R. (2013). *Social Responsibilities of the Businessman.* Iowa: University of Iowa Press.

Dimond, L., & W, M. J. (1996). *Multi-track Diplomacy: A Systems Approach to Peace.* Boulder: Kumarian Press.

Dudovskiy, J. (2012, july 26). *Criticism Associated with Corporate Social Responsibility.* Retrieved from Research Methodology: https://research-methodology.net/criticism-associated-with-corporate-social-responsibility-csr/

G.P., M. (1965). *Culture and Society.* Pitssburg: University of Pitssburg press.

Ganson, B. (2017). *Business and Peace: A Need for New Questions and Systems Perspectives.* Stellenbosch: Africa Centre for Dispute Settlement at the University of Stellenbosch Business School.

Haas, E. B. (1958). *Uniting of Europe.* Stanford: Stanford university press.

Homans, G. C. (1958). Social Behavior as Exchange. *American Journal of Sociology 63*, 597-606.

Hsu, Y.-M. (2015). *China and Taiwan Economic Cooperation.* London: Internationa Alert.

Humphreys, M. (2003). *Economics and Violent Conflict .* Harvard: Harvard University.

M'cleod, B. G. (2017). *The political economi of fragility: Business, conflict and peace in Sierra Leone.* Stellenbosch: Africa Centre for Dispute Settlement at the University of Stellenbosch Business School.

Muia, F. M. (2002). *The private sector in conflict prevention and post-conflict reconstruction.* International Labour Office, Infocus Programme on Crisis Response and Reconstruction.

Nesh, J. F. (1950). *Non-Cooperative Games.* Princeton: Princeton University.

Perlmutter, H. (1969). The Tortuous Evolution of the Multinational Corporation. *Columbia Journal of World Business 4:1*, 9-18.

Pinker, S. (2002). *The Blank Slate: The Modern Denial of Human Nature.* London: The Penguin Press.

Rojas, C. (2004). The People's Peace Processes: Local Resistance Processes and the Development of 'Zones of Peace' in Colombia . *Reflexion Politica*, 70-87.

Solomon, E., Kwong, R., & Bernard, S. (2016, February). *Inside Isis Inc: The journey of a barrel of oil*. Retrieved from Financial Times: https://ig.ft.com/sites/2015/isis-oil/?

Steward, F. (2009). *Horizontal inequalities as a cause of conflict.* Bradford: bradford University.

აკობია, ე. (2006). *საერთაშორისო ურთიერთობების თეორია.* თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.

ბრანდერი, პ. (2004). *სახელმძღვანელო ადამიანის უფლებათა განათლების სფეროში ახალგაზრდების მონაწილეობით.* თბილისი: კომპასი.

ზურიკაშვილი, ფ., მაღრაძე, გ., ჭანიშვილი, ნ., ხუციშვილი, გ., & ჯორბენაძე, რ. (2003). *კონფლიქტი, გენდერი და მშვიდობის მშენებლობა.* თბილისი: გაეროს განვითარების ფონდი ქალთათვის.

რიკარდო, დ. (2007). *პოლიტიკური ეკონომიის და დაბეგვრის საფუძვლები.* თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერისტეტის გამომცემლობა.

ჯონსონი, ჯ. ბ., & ჰ.ტ., რ. (2013). *პოლიტიკის მეცნიერების კვლევის მეთოდები.* თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

Guram Ananeishvili

The role of business in peaceful transformation of ethnopolitical conflicts

Conflicts Analysis and Management

The thesis is submitted for obtaining the Master's Degree in Conflict Analysis and Management

Professors: Guguli Maghradze

Tbilisi

2018